სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 9 ივნისი 2005 №129 (2451) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთა ალკმაარელია

არველაძემ ჰოლანდიელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა

3



ჩვენ წასვლას და თქვენ დარჩენას...

ისინი თამაშიდან წავიდნენ

6

დათვმა მრბოლი შეჭამა

15

ჯერ ყოფა ვნახოთ, მერე ცხოვრება

დიმიტრი რამიშვილი თითებზე ანგარიშობს

* * *

უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი ითამაშებს, 18 თუ 20, პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ეს გუნდები როგორ დააკმაყოფილებენ თანამედროვე ფეხბურთის, ფიფა-უეფას მოთხოვნებს.

* * *

დღესდღეობით, ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური მდგომარეობის და არსებული საფეხბურთო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით 10 გუნდიანი უმაღლესი ლიგა აჯობებს.

* * *

ნოდარ ახალკაცს პროფლიგის გამგეობა შეხვდა. მან დაგვიდასტურა, რომ 16-გუნდიანი ლიგა სურს, თუმც არ უთქვამს, აუცილებლად ასე უნდა იყოსო.

* * *

ათასი რამ არის გასათვალისწინებელი — მცოდნე მწვრთნელების, მოედნების, საფეხბურთო სკოლების რაოდენობაც ხომ უნდა დავთვალოთ?!

პაბლო ჯანლაიძის ფოტო

ზაზა ფაჩულია: ეს ჯერ არ მომხდარა! ამერიკული კემპი საქართველოში



გურგენ დოლიძეგაბაშვილის ფოტო

...ასეთი რამ საქართველოში ჯერ არ მომხდარა. ვფიქრობ, ყველაფერი სასიკეთოდ და ლამაზად ჩაივლის. სპეციალურად ამ კემპის გასაძღოლად ამერიკიდან სკიპ რობინსონი, „მილუოკის“ ერთ-ერთი მწვრთნელი ჩამოვა. ამ ღონისძიების ყველა მონაწილე ბავშვი საჩუქრად მიიღებს ჩემს პოსტერებს, მაისურებს და სხვადასხვა საკალათბურთო ატრიბუტიკას...

... თუ ფინეთთან თამაში ვერ მოვიგეთ, ყველაფერი აზრს კარგავს. თუმცა ამის შემდეგ უკვე მომდევნო მატჩი იქნება გადამწყვეტი და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ A დივიზიონის საგზურს არ მოვიპოვებთ. უდიდესი ყურადღება გვმართებს, მით უფრო, რომ ახალი მწვრთნელი და რამდენიმე გამოუცდელი მოთამაშე გვყავს...

მეთორმეტე გვერდი

ბადრი კეთილაძის ფოტო

დიმიტრი რამიშვილი:

ჯერ ყოფა ვნახოთ, მერე ცხოვრება

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ახლა უკვე ერთადერთი კანდიდატის, ნოდარ ახალკაცის წინასაარჩევნო განცხადებას, მსურს, მომავალი სეზონიდან საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 16 გუნდმა ითამაშოსო, საფეხბურთო სამყაროში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. პრეზიდენტობის კანდიდატის ამ მოსაზრებას ბევრი არ იზიარებს — თვლიან, რომ 16 გუნდიანი ჩემპიონატი უინტერესო იქნება, ამდენი გუნდი თავს ვერ შეინახავს და გზადაგზა დაიშლებაო. სხვები ახალკაცის სურვილს იზიარებენ — ამბობენ, გუნდების რაოდენობის გაზრდა ფეხბურთის პოპულარიზაციის ხელშემწყობი იქნებაო. მოკლედ, 16 გუნდის საკითხთან დაკავშირებით კამათი არ წყდება. ბუნებრივია, ამ ამბავს არც ჩვენგან ეგების წაყრუება და ამიტომაც პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს ვესაუბრეთ...

— ვფიქრობ, უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი ითამაშებს, 18 თუ 20 პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ეს გუნდები როგორ დააკმაყოფილებენ თანამედროვე ფეხბურთის, ფიფა-უეფას მოთხოვნებს. მესმის, რომ 16 გუნდიანი ლიგა ფეხბურთის პოპულარობას გაზრდის, შესაძლოა, ყველა გუნდს შეძლებული პატრონი გამოუჩნდეს და ფეხბურთის დონე ამაღლდეს, მაგრამ... მგონია, რომ დღესდღეობით, ქვეყნის მასშტაბით, ეკონომიკური მდგომარეობის და არსებული საფეხბურთო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით 10 გუნდიანი უმაღლესი ლიგა აჯობებს.

— მიუხედავად იმისა, რომ ამ ათი გუნდიდან „ბათუმი", „კოლხეთი" და „დილა" ლამის დაშლის პირას იყვნენ?

— ამ გუნდებს რომ ფინანსური პრობლემები არ შექმნოდათ, დარწმუნებული ვარ, წინა ჩემპიონატი ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა. სეზონის დაწყების წინ, უმაღლესში თამაშის ნება არ დავრთეთ „ქობულეთს" და „რუსთავს". ლიგაში გუნდების რაოდენობა შევამცირეთ, მაგრამ სხვა კლუბები მაინც წააწყდნენ ფინანსურ პრობლემებს. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ ორ გუნდსაც რომ უმაღლესში ეთამაშა, მაშინ რა მოხდებოდა, ალბათ, ჩემპიონატი ჩაიშლებოდა.

— 16-გუნდიანი უმაღლესი ლიგა ნოდარ ახალკაცს სურს. ფედერაციის პრეზიდენტიც ის იქნება. ამ საკითხზე მასთან არ გისაუბრიათ?

— გვისაუბრია, როგორ არა. ნოდარ ახალკაცს პროფლიგის გამგეობა შეხვდა. მან დაგვიდასტურა, რომ 16 გუნდიანი ლიგა სურს, თუმც არ უთქვამს, აუცილებლად ასე უნდა იყოსო. არჩევნების შემდეგ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ იდეას.

— პროფლიგა-ფედერაციის თანამშრომლობაზე გკითხავთ...

— პროფლიგა ფედერაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობს და ჩემპიონატს და თასის გათამაშებას ატარებს.

— ამ ხელშეკრულების გაწყვეტა როგორ შეიძლება?

— ერთ-ერთი მხარის სურვილით, ანუ ფედერაციას შეუძლია ხელშეკრულება გაწყვიტოს, თუ პროფლიგა გზიდან გადაუხვევს, დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს... ჩემპიონატს და თასს კი ვატარებთ, მაგრამ ფედერაციაა ჩვენი კურატორი, ფიფა-უეფასთან პასუხისმგებელი ისაა და, ბუნებრივია, ფედერაციის აზრი ჩემპიონატის სტრუქტურულ მოწყობასთან დაკავშირებით, პროფლიგამ უნდა გაითვალისწინოს.

— დავუშვათ, უმაღლესი ლიგა 16 გუნდიანი გახდა. პირველ ლიგაში გუნდების რაოდენობა როგორ წარმოგიდგენიათ?

— ჯერ ვერ გეტყვით. თუ გადაწყდება უმაღლესში 16 გუნდის თამაში, ამ საკითხზე მერე ვიფიქრებთ. ასე უცებ ვერ გიპასუხებთ. ათასი რამ არის გასათვალისწინებელი — მცოდნე მწვრთნელების, მოედნების, საფეხბურთო სკოლების რაოდენობაც ხომ უნდა დავთვალოთ?! ისე არ გამოვიდეს, რომ შედეგად ერთწლიანი გუნდები მივიღოთ, ახლა ფული მაქვს და უმაღლეს ლიგაში ვითამაშებო. რეგიონული, პირველი და უმაღლესი ლიგები ერთმანეთზე ჯაჭვივითაა გადაბმული და გუნდის კეთება უმდაბლესი ლიგიდან უნდა იწყებოდეს. ასე რომ, ვერ გეტყვით, პირველ ლიგაში რამდენმა გუნდმა უნდა ითამაშოს.

კოგა ინასარიძე

რამდენიმე შეკითხვა იდეას

ეჭვები, რომელთა განხილვაც ღირს

ამ წერილის ადრესატი ადამიანი არ არის, მისი ადრესატი იდეაა. გეთანხმებით, იდეა ადამიანის გარეშე არ არსებობს, მაგრამ თუ ის მარცხნიდანაც გაქვს მოსმენილი და მარჯვნიდანაც, მაშინ განზოგადება შეიძლება. ამიტომაც, თქვენი ნებართვით, კონკრეტულად არავის მივმართავთ და ამით ხაზს გავუსვამთ, რომ საკითხზე მსჯელობა გვაინტერესებს და არავინმესთან კამათი...

საუბარი კი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის თექვსმეტამდე გაზრდაზე გვსურს. სწორედ ეს გახლავთ ის იდეა, რომელიც საფეხბურთო მოხელეთა ერთ ნაწილში, როგორც ჩანს, პოპულარულია და რომელსაც კარს მომდგარი ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების წინ კონკურენციის დროინდელი ოთხი კანდიდატიდან ორმა განსახორციელებელი უწოდა. მოკლედ, იდეა გავლენიან ფიგურათა ნაწილს მოსწონს და, ესე იგი, სერიოზულია.

ზოგადად ვფიქრობთ, რომ მთავარი შედეგი, ანუ ჩემპიონატის დონის ამაღლებაა, ხოლო ეს თექვსმეტი გუნდით მოხერხდება, თორმეტით თუ ათით, სულერთია. თეორიულად ისიც სრულიად შესაძლებელია, რომ მიზნისკენ მისასვლელად ორი სწორი გზა არსებობდეს, რომელთაგან ერთს ერთი ადამიანი ხედავდეს, მეორეს კი მეორე. ასეთ შემთხვევაში ორივეს ყოჩაღ და დიდება იმას, რომელსაც გაუმართლებს და თავისას შეასხამს ხორცს, მაგრამ, ბუნებრივია, არის სხვა, უარესი ვარიანტებიც და არის ეჭვიც, რომლის შესახებაც თქვენ ნებართვით ქვემოთ მოგახსენებთ.

კერძოდ, რა ეჭვი ღვივდება უპირველეს ყოვლისა, როდესაც საუბარი გუნდების თექვსმეტამდე გაზრდას ეხება? ეს გახლავთ ეჭვი, რომლის გაჩენას დიდი ჩაღრმავება არ სჭირდება, რადგან ზედაპირზეევა: დღეს გვაქვს ჩემპიონატი, რომლის ტურშიც ხუთი თამაშია და ამ ხუთიდან გუნდების სიღატაკის გამო ერთი ან ორი ლამის ყოველ მომდევნო ტურში ჩაშლის პირასაა (ან უხელფასო ფეხბურთელები იფიცებიან, ან კლუბი ვერ იხდის რაღაც ელემენტარულ გადასახადს, ან კიდევ სხვა). ხომ არ გაიზრდება ჩაშლის წინაშე მდგომ თამაშთა რაოდენობა იმ შემთხვევაში, თუ ტურში მატჩების რაოდენობა რვას მიატანს?

ერთი შეხედვით, ლოგიკურად უნდა გაიზარდოს, რადგან ამ თვეებში ქართული კლუბების ტოტალურ გამდიდრებას, წესით, არ უნდა ველოდოთ და, შესაბამისად, ღარიბებს უბრალოდ ღარიბები დაემატებიან, მეტი კი არაფერი. მოკლედ, ამ მსჯელობის თანახმად, გაიზრდება ვიშვიში და უმაღლეს ლიგაში მშიერ ფეხბურთელთა, გაფიცვათა და ჩაშლის პირას მდგომ თამაშთა რაოდენობა, ხოლო ჩემპიონატის ხარისხი, წესით, კვლავ საკვალალო უნდა დარჩეს. სხვა ამბავია, თუ საქართველოს პარლამენტი დღეს-ხვალ რაიმე ისეთ კანონს მიიღებს, კლუბების ფინანსურ გაძლიერებას დიდ ბიძგს რომ მისცემს, მაგრამ ზემოთ მოგახსენეთ, რომ ამის იმედი ჯერ არ გვაქვს.

და კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი — ვშიშობთ, გუნდების გამრავლება უმაღლეს ლიგაში უხარისხო მოედნების გამრავლებას ნიშნავს, ხოლო იქ, სადაც მოედნები უხარისხოა, ხარისხიანი ფეხბურთი არ არსებობს და ეს ჩვენზე კარგად უპირველეს ყოვლისა სწორედ საფეხბურთო მოხელეებმა იციან.

ერთი სიტყვით, არ არის გამორიცხული, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდამდე ჯერ სხვა სამუშაოების ჩატარება იყოს უპრიანი, რათა მონაწილეთა რიცხვის ზრდასთან ერთად საცოდაობის ზრდა არ გამოგვივიდეს.

სხვა მხრივ კი, საქართველოში რაც მეტ ქალაქსა და სოფელში ითამაშებენ ფეხბურთს, მით უკეთესია ყველასთვის და ყველაფრისთვის.

მოკლედ, ამაზე ეჭვის გამოთქმა არ შეიძლება.

პაპუნა კედია

ბადრი კეთილაძის ფოტო

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

I ჯგუფი	
ჩეხეთი 6:1 მაკედონია	ესტონეთი 0:1 პორტუგალია
რუმინეთი 3:0 სომხეთი	ლუქსემბურგი 0:4 სლოვაკეთი
ფინეთი 0:4 ჰოლანდია	**IV ჯგუფი**
II ჯგუფი	შარერეგი 0:2 ირლანდია
ყაზახეთი 0:6 თურქეთი	**V ჯგუფი**
დანია 3:1 ალბანეთი	ბელარუსი 0:0 შოტლანდია
საბერძნეთი 0:1 უკრაინა	**VII ჯგუფი**
III ჯგუფი	ესპანეთი 1:1 ბოსნია
ლატვია 1:0 ლიხტენშტაინი	**VIII ჯგუფი**
	ინლანდია 4:1 მალტა

ამხანაგური მატჩები

შვედეთი 2:3 ნორვეგია	გერმანია 2:2 რუსეთი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. V ტური

A ჯგუფი

ძუვეითი 0:4 სამხრეთ კორეა

საუდის არაბეთი 3:0 უზბეკეთი

B ჯგუფი

ჩრდილოეთ კორეა 0:2 იაპონია

ირანი 1:0 ბაჰრეინი

ქალთა ევროპის ჩემპიონატი 2005

A ჯგუფი. II ტური

დანია 2:1 ინგლისი

შვედეთი 0:0 ფინეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ალკმაარელია

ვან გაალი არველაძეს: შენი გოლების მეიმედება



32 წლის შოთა არველაძემ ჰოლანდიურ AZ-თან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი — არველაძე თავისუფალი აგენტი გახლდათ და „ალკმაარმაც“ შოთა სატრანსფერო თანხის გადახდის გარეშე დაისაკუთრა.

არველაძე ალკმაარში პირველად მაისის ბოლოს ჩავიდა და AZ-ის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების პირველი რაუნდიც გამართა.

შოთას სხვა შეთავაზებებიც ჰქონდა და რატომ აირჩია მაინცდამაინც „ალკმაარი“?

„ეს სხვადასხვა ფაქტორებმა განაპირობეს. ჯერ ერთი ის, რომ „ალკმაარს“ ლუის ვან გაალი ჩაუდგა სათავეში, თანაც ამ კლუბს ძალიან ვუნდოდი და კიდევ, „ალკმაარი“ ახლა აღმავლობის გზაზეა, ამბიციებიც დიდი აქვს“ — განგვიმარტა არველაძემ.

შოთას ჰოლანდიაში ადრეც უთამაშია, 1997-2001 წლებში გამოდიოდა ამსტერდამის „აიაქსში“, რომლის რიგებშიც მოიგო ჰოლანდიის ჩემპიონობა და თასი, ორჯერ გახდა კლუბის საუკეთესო მეგოლე, ხოლო შემდეგი ოთხი წელი შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსში“ ითამაშა. მოკლედ, თბილისის „დინამოს“, „ტრაბზონსფორის“, „აიაქსის“ და „რეინჯერსის“ შემდეგ არველაძის პროფესიულ კარიერაში „ალკმაარი“ მეხუთე კლუბია.

„AZ-თან კონტრაქტზე ხელმოწერისას ვან გაალსაც ვესაუბრე და მითხრა, იმედი მაქვს, რომ ჩვენ ნაყოფიერად ვიმუშავებთო“ — უთქვამს ცნობილ მწვრთნელს ქართველი ფორვარდისთვის.

არველაძის გარდა ვან გაალის რეკომენდაციით „ალკმაარმა“ კიდევ ორი ახალი ფეხბურთელი დაიმატა — პიუს იკედია „როზენდალიდან“ და დენი მატიენსენი „ტილბურგიდან“.

შეგახსენებთ, „ალკმაარმა“ წინა სეზონში უეფას თასის ნახევარფინალამდე მიაღწია, ხოლო ჰოლანდიის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა კო ადრიანსეს ხელმძღვანელობით, ვინც ამიერიდან „პორტუს“ გაწვრთნის.

დავით თავართქილაძე

ნოდარ ახალკაცი

ქართული ფეხბურთის განვითარების მოკლე პროგრამა (თეზისი)

პრიორიტეტული მიმართულებები

1. პროფესიონალიზმის ამაღლება

ა) გამჭვირვალე საორგანიზაციო სტრუქტურის შექმნა;

ბ) საქართველოს საფეხბურთო მეურნეობის მმართველ სტრუქტურებში (საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მისი სუბიექტები) მომუშავე კადრების კვალიფიკაციის ამაღლება;

გ) მწვრთნელების, მსაჯების, მომსახურე პერსონალის, ფეხბურთელების კვალიფიკაციის ამაღლება;

2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შემოსავლების სწორი, მიზნობრივი და გამჭვირვალე განკარგვა;

3. საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება;

4. მასობრივი ფეხბურთის აღორძინება;

5. ბავშვთა ფეხბურთი;

6. რეგიონებში ფეხბურთის პოპულარიზაცია;

7. საკლუბო ფეხბურთის, ანუ საქართველოს შიდა შეჯიბრებების (უმაღლესი ლიგა, პირველი ლიგა, რეგიონული ლიგა, საქართველოს თასი და სხვა) დონის ამაღლება;

8. ნაკრები გუნდების (ეროვნული, 21-წლამდე, 19-წლამდე, 17-წლამდე) დონის ამაღლება;

9. ფუტსალის განვითარება;

10. ქალთა ფეხბურთის განვითარება;

11. საშეჯიბრო სისტემის ოპტიმიზაცია;

12. იურიდიული ბაზის შექმნა;

13. საზოგადოებისთვის, ბიზნესმენებისთვის და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის ქართული საფეხბურთო მეურნეობის სანდო პარტნიორად ქცევა;

14. საერთაშორისო კონტაქტების განახლება და პარტნიორთა რაოდენობის მაქსიმალურად გაზრდა;

15. საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციების მოთხოვნათა დროული დაკმაყოფილება;

16. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა;

17. სახელმწიფოსთან მჭიდრო თანამშრომლობა;

18. ვეტერან საფეხბურთო მოღვაწეთა სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა და მათი გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება;

19. ტალანტთა აღმოჩენა-განვითარების ეროვნული პროგრამის შექმნა და სასელექციო სამუშაოების ჩატარება მთელი ქვეყნის მასშტაბით;

20. მასმედიასთან აქტიური თანამშრომლობა;

21. ფინანსური და საფეხბურთო რესურსების მაქსიმალურად გამოყენება.

დინამო ან ევროპა

რევაზ ქემოკლიძე: მაინცდამაინც ლეგიონერი უნდა ვიყო, რომ დამაფასონ?

რევაზ ქემოკლიძე მე-16 ეროვნულ ჩემპიონატში უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო და მისი დამსახურებაცაა, გაახალგაზრდავებული „თბილისი“ ბოლომდე რომ ებღაუჭებოდა საპრიზო ადგილებს.

თბილისელთა ამბავი როგორც დასრულდა, კარგად იცით — გუნდი დაიშალა და, ცხადია, ქემოკლიძეც სხვაგან წასვლას ეშურება.

ყველაზე რეალური ქემოკლიძის თბილისის „დინამოში“ გადასვლაა, თუმცა ფეხბურთელი არც ევროპულ ვარიანტს გამორიცხავს...

— „დინამო“ საქართველოში საუკეთესო გუნდია. ჩემი იქ გადასვლა კი ჯერჯერობით არ გადაწყვეტილია, მოლაპარაკება მიმდინარეობს და 2-3 დღეში უნდა გაირკვეს ყველაფერი. მხოლოდ ის ვიცი, რომ „თბილისში“ არ დავრჩები.

— „დინამო“ 10 ივნისს იკრიბება და შესაძლოა, შენც მაშინ შეუერთდე გუნდს?

— არ ვიცი, თუმცა, ფაქტია, ჯერჯერობით ყველაზე რეალური ვარიანტი „დინამოა“.

— საფრანგეთის მეორედივიზიონელ „ბრესტზეც“ იყო ლაპარაკი...

— „ბრესტის“ ვარიანტიც არ გამორიცხულა, მათგან ზარს ველოდები, თუმც როდის მოხდება ეს და საერთოდ მოხდება თუ არა, ვერ გეტყვით. ისე, სხვა უცხოური გუნდებიც არიან ჩემით დაინტერესებული, მაგრამ ვერ დავასახელებ — წინასწარ არ მინდა რაიმე ვთქვა.

— ასარჩევად რომ მქონდეს საქმე, „დინამოში“ წახვალ თუ უცხოეთში?

— როგორ გითხრა, უფრო ევროპაში წავიდოდი, თუმცა იმასაც გააჩნია, რა დონის კლუბი იქნება.

— „თბილისი“ რომ არ დაშლილიყო, დარჩებოდი?

— „თბილისს“ ძალიან შევეჩვიე. წარმოიდგინეთ, ზამთარში ლამის მთელი გუნდი დაიშალა და მაინც მესამე ადგილზე გავედით. მეტიც შეგვეძლო, ქუთაისში ნორმალურ ატმოსფეროში რომ ჩატარებულიყო თამაში, ეგებ, მოგვეგო და უეფას თასზეც გვეთამაშა. ამ შემთხვევაში შანსი იყო, „თბილისში“ რამდენიმე თვით მაინც დავრჩენილიყავი.

— ქუთაისურ სკანდალს „ტორპედო“ და „თბილისი“ სხვადასხვაგვარ შეფასებას აძლევენ. შენი აზრიც საინტერესოა...

— სირცხვილია, ასეთი ამბები რომ ხდება ჩემპიონატში. რა კომენტარი უნდა გავუკეთო?! სტადიონზე ქვების სროლას გამართლება შეიძლება ჰქონდეს?!

— შენ ჩხუბში არ ჩარეულხარ და „ტორპედოს“ გულშემატკივრებმა ტაშითაც კი გაგაცილეს...

— აი, მაგისთვის კი მადლობას ვუხდი ქომაგებს. „ტორპედოში“ ადრე ვთამაშობდი და ორჯერ ჩემპიონი გავხდი. რაც შემეძლო, გავილე ამ კლუბისთვის და ალბათ ტაშის ღირსიც ვიყავი.

— თვლი, რომ გასული სეზონი საუკეთესო იყო შენთვის?

— ერთ-ერთი საუკეთესო ნაღდად იყო. ტრავმებიც მქონდა, მაგრამ მეორე ეტაპზე რაც ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა გააკეთა, ბევრი ვერ მოახერხებდა.

— ალბათ გული გწყდება, ნაკრებში რომ არ გიწვევენ...

— საქართველოს ნაკრები ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. გული როგორ არ დამწყდება, ჩვენს ჩემპიონატს ყურადღებას საერთოდ არ აქცევენ და რაც უნდა კარგად ითამაშო, არ გიყურებენ. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ მიძახებენ ნაკრებში — მაინცდამაინც ლეგიონერი უნდა იყო, რომ დაგაფასონ?..

ილია ნანობაშვილი

სანამ პაპა მოვა

ნესტორ მუმლაძე: ინტერტოტოს დიდხანს უნდა შემოვრჩეთ



ვიტალი დელელეიძე ფოტოზე

დავით ჯანელიძე ნესტორ მუმლაძეს „ვიტ ჯორჯიას“ გაწვრთნაში დაეხმარება

„ვიტ ჯორჯია“ რომ ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე უნგრულ „ლომბარდ პაპას“ („ტატაბანიას“) ხვდება, ამაზე გუშინაც ვწერდით. ვიტელთა მეტოქე უნგრული საზომითაც კი მოკრძალებული გუნდია, 16-გუნდიან ჩემპიონატში მე-14 ადგილზე გავიდა და, ცხადია, ნესტორ მუმლაძეს ამ ბარიერის გადალახვის ეიმედება.

„ვიტ ჯორჯია“ ხვალ შეიკრიბება, ზეგ ვარჯიშს დაიწყებს, 19-ში კი უკვე გასვლითი მატჩია უნგრეთში.

ვეტერინართა რიგები უკვე დატოვეს მცველმა ალექსანდრე ინწკირველმა და მეკარე სერგო ჭურაძემ. ცვლილებაა სამწვრთნელო შტაბშიც — ნესტორ მუმლაძის გარდა კლუბში გუშინ მეკარეთა მწვრთნელად დავით ჯანელიძე მივიდა. მუმლაძის თქმით, ფეხბურთელთა ძირითადი ბირთვი გუნდში დარჩება და მომავალ სეზონში „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონატში მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებს.

— ინტერტოტოზე გასვლამ სეზონისწინა გრაფიკი ცოტა აგვირია. ბუნებრივია, უცხოეთში შეკრება გვექნება, თუმცა ამას დაზუსტებით მაინც ვერ ვიტყვი — ინტერტოტოზე რამდენიმე ეტაპი რომ გავიაროთ, შესაძლოა, დრო არც დაგვრჩეს — გვითხრა გუშინ მუმლაძემ.

მაინც რა გუნდია „ლომბარდ პაპა“? ვიტელებს მათზე ინფორმაციის შეგროვება დაუწყიათ და ჩვენც ქვემოთ მოკლედ გაგაცნობთ 1995 წელს შექმნილ უცნაური სახელის მქონე კლუბს.

ილია ნანოგაშვილი

„ლომბარდ პაპა“ უნგრეთის ჩემპიონატში:

30 მატჩი, 8 მოგება, 6 ფრე, 16 წაგება, ბურთები 40:47, 30 ქულა

სტადიონი:

„ვარკერტი“ (ტევადობა 5 500)

შემადგენლობა

მეკარეები: ტამაშ ჟეპი, ივან ტოტი, ზოლტან დელი;

მცველები: მიჰალ ზუჩი, დარიუშ მიშლეა, ატილა კაშარი, ატილა ფარკაში, ტამაშ გერი;

ნახევარმცველები: ჰეტერ კინშეში, დორიელ მუტიცა, ბალაშ ლაზკა, ზოლტან შაბო, ლასლო ნემეტი, ტიბორ შაბო, ფერენც გერმანი, შაბა სომფალვი, ფერენც როტი;

თავდამსხმელები: როლანდ ტიუშკე, ზოლტან ჰერგეფაბლი, სიმონ სტევიცა, ტომაშ მედვედი;

მწვრთნელი: ლასლო ტაკაში

2005 წლის ინტერტოტოს თასის პირველ მატჩს „ვიტ ჯორჯია“ ამ სტადიონზე ჩაატარებს

31 წლის ტომაშ მედვედი 18 გოლით უნგრეთის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა

ახალი ევროპული სეზონი, როგორც ყოველთვის, ინტერტოტოს თასით იწყება. 18-19 ივნისს ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის პირველი მატჩებია და საქართველოდან ამ ტურნირში შარშანდელი ჩემპიონი თბილისის „ვიტ ჯორჯია“ მონაწილეობს- ეს უკვე მეოთხე ინტერტოტოა ვეტერინარებისთვის და აქედან მათ მხოლოდ ერთხელ 2000-2001 წლების სეზონში შეძლეს პირველი ეტაპის გადალახვა, როცა ავსტრიულ „რიდს“ ორი მატჩის ჯამში (1:0, 1:2) ავჯობეს.

ამჯერად ვიტელთა მეტოქე უნგრული „პაპა ლომბარდი“, ანუ მეორე, უფრო გავრცელებული სახელით რომ ვთქვათ, „ტატაბანიაა“, რომელიც ქართველებისთვის იმითაა ნაცნობი, რომ წლების წინ ამ გუნდში ჩვენებური ნახევარმცველი ვალერი ზირაქაძე თამაშობდა.

ქვემოთ ინტერტოტოს თასის ბადე-ცხრილს და თამაშების თარიღებს გთავაზობთ.

კახა შალამბერიძე

ინტერტოტოს თასი

პირველი ეტაპი
18-19 და 25-26 ივნისი

1	სმედერევო (სერბეთი)	—	პობედა (მაკედონია)
2	ბეითარი (ისრაელი)	—	სილეკსი (მაკედონია)
3	ვალეტა (მალტა)	—	ბუდუჩნოსტი (სერბეთი)
4	სლავენი (ხორვატია)	—	დრავა პტუი (სლოვენია)
5	ოლიმპიაკოსი (კვიპროსი)	—	გლორია (რუმინეთი)
6	კლუჟი (რუმინეთი)	—	ვეტრა (ლიტვა)
7	დინამო (ალბანეთი)	—	ვარტექსი (ხორვატია)
8	კარვანი (აზერბაიჯანი)	—	ლეხი (პოლონეთი)
9	რეინჯერსი (ანდორა)	—	შტურმი (ავსტრია)
10	ვაშაში (უნგრეთი)	—	დუბნიცა (სლოვაკეთი)
11	არარატი (სომხეთი)	—	ქსამაქსი (შვეიცარია)
12	ტატაბანია (უნგრეთი)	—	ვიტ ჯორჯია (საქართველო)
13	ნემანი (ბელარუსი)	—	ზლინი (ჩეხეთი)
14	ტილიგული (მოლდოვა)	—	პოგონი (პოლონეთი)
15	ვიქტორია (ლუქსემბურგი)	—	გიოტებორგი (შვედეთი)
16	ინტერი (ფინეთი)	—	აკრანესი (ისლანდია)
17	ბანგორ სიტი (უელსი)	—	დინაბურგი (ლატვია)
18	ჟალგირისი (ლიტვა)	—	ლისბურნი (ჩრდ. ირლანდია)
19	ბოჰემიანსი (ირლანდია)	—	გენტი (ბელგია)
20	ტრანსი (ესტონეთი)	—	ლოკერენი (ბელგია)
21	სკალა (ფარერები)	—	ტამპერე (ფინეთი)

მეორე ეტაპი
2-3 და 9-10 ივლისი

A	დეპორტივო (ესპანეთი)	—	3 წყვილის გამარჯვებული
B	სენტ ეტიენი (საფრანგეთი)	—	11 წყვილის გამარჯვებული
C	20 წყვილის გამარჯვებული	—	იანგ ბოისი (შვეიცარია)
D	ვოლფსბურგი (გერმანია)	—	9 წყვილის გამარჯვებული
E	21 წყვილის გამარჯვებული	—	შარლერუა (ბელგია)
F	ლიბერეცი (ჩეხეთი)	—	2 წყვილის გამარჯვებული
G	ლანსი (საფრანგეთი)	—	8 წყვილის გამარჯვებული
H	6 წყვილის გამარჯვებული	—	ბილბაო (ესპანეთი)
I	სიგმა (ჩეხეთი)	—	14 წყვილის გამარჯვებული
J	ჰამბურგი (გერმანია)	—	1 წყვილის გამარჯვებული
K	ანკარა (თურქეთი)	—	10 წყვილის გამარჯვებული
L	4 წყვილის გამარჯვებული	—	5 წყვილის გამარჯვებული
M	7 წყვილის გამარჯვებული	—	16 წყვილის გამარჯვებული
N	19 წყვილის გამარჯვებული	—	13 წყვილის გამარჯვებული
O	12 წყვილის გამარჯვებული	—	15 წყვილის გამარჯვებული
P	18 წყვილის გამარჯვებული	—	17 წყვილის გამარჯვებული

მესამე ეტაპი
16-17 და 23 ივლისი

1	ლაციო (იტალია)	—	E წყვილის გამარჯვებული
2	C წყვილის გამარჯვებული	—	მარსელი (საფრანგეთი)
3	K წყვილის გამარჯვებული	—	ნიუკასლი (ინგლისი)
4	ლეირია (პორტუგალია)	—	J წყვილის გამარჯვებული
5	N წყვილის გამარჯვებული	—	ვალენსია (ესპანეთი)
6	ეგალეო (საბერძნეთი)	—	P წყვილის გამარჯებული
7	დორტმუნდი (გერმანია)	—	I წყვილის გამარჯვებული
8	როდა (ჰოლანდია)	—	F წყვილის გამარჯვებული
9	H წყვილის გამარჯვებული	—	B წყვილის გამარჯვებული
10	A წყვილის გამარჯვებული	—	L წყვილის გამარჯვებული
11	O წყვილის გამარჯვებული	—	D წყვილის გამარჯვებული
12	M წყვილის გამარჯვებული	—	G წყვილის გამარჯვებული

ნახევარფინალების და ფინალების წილისყრა გაიმართება 11 ივლისს ნიონში (შვეიცარია)



პელეს გერს ედინიოს (შუაში) სასამართლოში სირბილი მოუწევს

ვერ გაგიზრდია შვილი, მეფეო!

ედინიომ პელე გააამწარა

ლეგენდარული პელეს ვაჟი, „სანტოსის“ 35 წლის ექსმეკარე ედინიო ნარკობიზნესთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვია.

გუშინ ბრაზილიელმა სამართალდამცავებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი 51 კაცი დააპატიმრეს, რომელთა შორის ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს გერიც ფიგურირებს.

„როგორც ყველა მამა, მეც ძალიან ვწუხვარ, ჩემი ვაჟის ბედის გამო. ვშიშობ, რომ ედინიოს ნარკობიზნესთან კავშირი მისთვის მძიმე შედეგს მოიტანს. მთელი ცხოვრება ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას შევალიე. ახლა კი რა გამოდის? ნარკომანი აქეთ მყოლია სახლში. ვინც ედინიოს იცნობს, ვერ წარმოიდგენდა, რომ მას ამ ჭუჭყიან ბიზნესთან რაიმე შეხება ექნებოდა. ჩემი ბრალია, მე რომ სულ საქმეებში არ ვყოფილიყავი ჩაფლული, ჩემი შვილი ნარკომანი არ იქნებოდა“ — უთხრა გამწარებულმა და საგონებელში ჩავარდნილმა ფეხბურთის მეფემ ბრაზილიელ ჟურნალისტებს.

ედინიოს გარდა, ძალოვანთა განცხადებით, ნარკოსკანდალში სავარაუდოდ, „სანტოსის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი რობინიოცაა გარეული. პოლიციის თქმით, რობინიოს აგენტი პედრო ბარსოტი, იმ რონალდუ დუარტე ბარსოტის (მეტსახელად ნალდინიო) მამაა, ვინაც ზემოხსენებული ნარკოდაჯგუფების მეთაურად ითვლება.

ლადო ხომერიკი

კოლუმბიელი ლუის პერეა „ვალენსიაში“ მიიპატიჟეს

მესტალიაზე კოლუმბიელიც მივა

„ვალენსიას“ ახალდანიშნული მწვრთნელი კიკე სანჩეს ფლორესი „მესტალიაზე“ მადრიდის „ატლეტიკოს“ ცენტრალური მცველის, ლუის პერეას მიყვანას აპირებს. მისი აზრით, გუნდს ყოჩაღი კოლუმბიელი უკანახაზელი ძალიან სჭირდება. მძიმე ტრავმის გამო კურო ტორესი ბურთს ექვსი თვის განმავლობაში ვერ მიეკარება და მარჯვენა ფლანგზე მის ადგილს სრულფასოვნად სწორედ ლუის პერეა შეავსებს.

„პერეა ძალიან სწრაფი და გამოცდილი ფეხბურთელია. თუ შევიძინეთ, დარწმუნებული ვარ, იგი ჩვენთანაც ისეთივე წარმატებით ითამაშებს, როგორაც „ბოკა ხუნიორსში“ და „ატლეტიკოში“ თამაშობდა. ლუისის ჩვენთან მოსვლის შემთხვევაში, დაცვაში პრობლემები არ გვექნება. მასსა და მარკუ კანეირას მარჯვენა ფლანგზე თამაში შეუძლიათ, ნავაროს, აიალასა და მარჩენას ცენტრში, ხოლო მორეტის, ფაბიო აურელიოს და კარბონის მარცხენა ფლანგზე“ — უთხრა კიკე ფლორესმა „მარკას“ ჟურნალისტს.

ლუის პერეა მადრიდში „ბოკადან“, გასულ ზაფხულს ჩავიდა და „ათლეტთა“ დაცვაში ჩინებული ბურთაობით „ატლეტიკოს“ უფროსობის გული მაშინვე მოიგო.

მაგრამ ახლა, როცა „ატლეტიკოს“ მწვრთნელად არგენტინელი კარლოს ბიანკი დაინიშნა, მცველს ახალი კლუბის ძებნა მართლა მოუწევს — „ბოკაში“ ყოფნის დროს, ბიანკი და პერეა ერთმანეთში შეხმატკბილებულნი ვერ იყენენ და იმიტომ.

ერთიცაა, მადრიდის „ატლეტიკო“ ვალენსიელებით — დი ვაიოთი და ანგულოთია დაინტერესებული და ვინძლო, იქაურებმა „მესტალიაზე“ პერეას გადაბარგებას ხელი არ შეუშალონ.

„ვალენსია“ ჩინებული გუნდია. მართალია, ჯერ ოფიციალური შემოთავაზება არ მიგვიღია, მაგრამ შემიძლია, გითხრათ, რომ ჩემი ფეხბურთელი იქ გადასვლაზე გადაჭრით უარს არ იტყვის“ — განაცხადა მარსელო ბეტანასამ, პერეას აგენტმა.

ლადო ხომერიკი





სანტიაგო სოლარი და კრისტიან კივუ „ინტერში“ სავარაუდოდ, თანაგუნდელები გახდებიან

მორატიმ დაგვაინტერესა

ინტრიგა, სოლარი და კივუ

მილანის „ინტერის“ მფლობელმა მასიმო მორატიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რამდენიმე საინტერესო ტრანსფერის განხორციელებას და გუნდის საგრძნობლად გაძლიერებას აპირებს. თანაც ამჯერად ქომაგებს სერიოზულ სიურპრიზს შეჰპირდა.

„დიახ, ფანებისთვის სიურპრიზს ვამზადებ. კითხვებს ტყუილად მისვამთ, რამე რომ ვთქვა, სიურპრიზი ხომ აღარ იქნება?“ — უთხრა მორატიმ ჟურნალისტებს.

იტალიური პრესა გვამცნობს, რომ ეს სიურპრიზი ესპანური პრიმერადივიზიონის რომელიმე ვარსკვლავი იქნება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კანდიდატთა შორის „ბარსელონას“ ლიდერი რონალდინიოც არის, რომელსაც „ინტერი“ ადრეც უტრიალებდა. იქვეა მაიკლ ოუენიც და ინგლისელის „სან სიროზე“ გადასვლა ალბათ ბევრად უფრო რეალურია.

გარდა ამისა, არ გამორიცხავენ, რომ მორატიმ მადრიდის „რეალს“ რობინიო, ხოლო ტურინის „იუვენტუსს“ ანტონიო კასანო ააცალოს ცხვირწინ. საუბარია ალბერტო ჯილარდინოზეც, მაგრამ პარმელის ხელში ჩაგდება მილანელებს ძალიან გაუჭირდებათ.

ამასობაში, „ინტერმა“ უკვე დაიმატა ესპანეთში მოთამაშე ერთი ფეხბურთელი. ყოველ შემთხვევაში, აპენინური ჟურნალ-გაზეთები ირწმუნებიან, რომ „შავ-ლურჯები“ საბოლოოდ შეუთანხმდნენ „რეალს“ სანტიაგო სოლარის ტრანსფერზე და არგენტინელი მალე სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. შეგახსენებთ, რომ მილანელებს დაახლოებით ორი წელია, სოლარის შეძენა უნდათ.

ლაპარაკია იმაზეც, რომ „რომას“ რუმინელი მცველი კრისტიან კივუ უახლოეს დღეებში მოირგებს „შავ-ლურჯ“ მაისურას.

დაბოლოს, გუნდის ფორვარდი კრისტიან ვიერი მომავალ სეზონში სერია A-ს პირველ ორ შეხვედრას გამოტოვებს. სადისციპლინო კომიტეტმა ვიდეოგამეორების ნახვის შემდეგ დაასკვნა, რომ „ინტერისა“ და „რეჯინას“ მატჩისას „ბობომ“ ივან ფრანჩესკინის განგებ ჩაარტყა ხელი.

გიორგი კაკაბაძე

ვალტერ ნოველინომ ლაპარაკი დაიმტვრა

„სამპდორიას“ თავკაცმა ვალტერ ნოველინომ მის გარშემო ატეხილ მითქმა-მოთქმას წერტილი გუშინ დაუსვა და გენუელებთან კონტრაქტი 2007 წლამდე გაახანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ წარმატებული სეზონის შემდეგ უკვე საკმაოდ გამოცდილი და პერსპექტიული ტაქტიკოსის სახელს რამდენიმე კლუბს უკავშირებდნენ.

ამასობაში, გენუელები „პალერმოდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოსული ლამბერტო ძაულით გაძლიერდნენ. სიცილიელმა „სამპდორიასთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

საინტერესოა, რომ ნოველინოსა და ძაულის ერთად აქამდეც უმუშავიათ — „რავენაში“.

გარდა ამისა, „სამპდორიას“ უფროსობას „მილანისგან“ ვიტალი კუტუზოვის კონტრაქტის ბოლომდე გამოსყიდვა გადაუწყვეტია. შეგახსენებთ, რომ 25 წლის ბელარუსი ფორვარდი გასულ სეზონში არენდის წესით თამაშობდა „ლუიჯი ფერარისზე“.

გუნდის ლიდერი ფრანჩესკო ფლაკი კი, მიუხედავად გავრცელებული ჭორებისა, „სამპდორიაში“ რჩება.

„გულშემატკივრებს შეუძლიათ, დამშვიდნენ. ფრანჩესკო არ გაიყიდება, იგი ჩვენთან რჩება. წამყვანი მოთამაშეებისა და მითუმეტეს, თავდამსხმელების გასხვისებას არ ვაპირებთ. პირიქით, შეტევითი პოტენციალის გაზრდაზე უნდა ვიფიქროთ“ — აღნიშნა გენუელთა მფლობელმა რიკარდო ბარონემ.

გიორგი კაკაბაძე

ჩვენს წასვლას და თქვენს დარჩენას...

წასვლის დროა — ეს სიტყვები სეზონის დასრულებისთანავე ბევრმა იმ ფეხბურთელმა თქვა, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზთა გამო კარიერის დასრულება გადაწყვიტეს. მათ შორის არიან ისეთებიც, წლების მანძილზე რომ ჯეგდნენ ევროპულ სტადიონებს და არაერთ პრესტიჟულ ჯილდოს შეეთამაშნენ. ქვემოთ სწორედ კარიერადასრულებულ მოთამაშეებზე მოგითხრობთ

ფერნანდო იერო

მადრიდის „რეალის“ და ესპანეთის ნაკრების ოდინდელმა დიდმა კაპიტანმა თავისი ბოლო სეზონი პრემიერლიგაში, „ბოლტონში“ ჩაითამაშა. იერომ ფეხბურთთან გამომშვიდობება ჯერ კიდევ მაშინ გადაწყვიტა, როცა 2003 წელს სამეფო გუნდიდან უმადურად გაუშვეს. მაგრამ ყატარიდან შემოთვლილ მაცდურ წინადადებას ვერ გაუძლო და იმ გზას დაადგა, რომელიც ამ ბოლო ხანს ფეხბურთისგან დაღლილ ვარსკვლავთა უმეტესობას გაუთელავს. არაბეთს გახიზნული ესპანელი ევროპაში არ დავიწყებიათ, ინგლისურმა „ბოლტონმა“ თავისთან იხმო და იერომაც დიდ ფულს დიდი ფეხბურთი ამჯობინა. ლონდონურ კლუბში მას მადრიდელი თანაგუნდელები, ივან კამპო და ჟულიო სეზარი დახვდნენ. 36 წლის ფერნანდომ პრემიერლიგის გიჟურ დოღს მხოლოდ ერთი სეზონი გაუძლო და... ფეხბურთიდან წავიდა.

ფერნანდო რედონდო

არგენტინის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ყოფილი ნახევარმცველი, ჩემპიონთა ლიგის ორჯერ მომგები რედონდო ოჯახის ნებას დაჰყვა და კარიერა დაასრულა. არადა, მას ბევრი ესპანური კლუბი ეპატიჟებოდა. ფერნანდომ მსურველები ასეთი არგუმენტით მოიგერია: „ესპანეთში „რეალის“ გარდა, არც ერთ სხვა გუნდში არ ვითამაშებ“. არგენტინელს საცხოვრებლადაც მადრიდი აურჩევია, ჯალაბითურთ იქ დაფუძნდა და... ისევ ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს, ოღონდ საკლუბო მოხელის რანგში.

მიგელ ანხელ ნადალი



„მე ყოველთვის ვცდილობდი პატიოსანი ვყოფილიყავი საკუთარ თავთან და იმ ადამიანებთან, რომლებიც მენდობოდნენ. აშკარად ვატყობ, რომ ჯანი აღარ მომდევს. კლუბის პრეზიდენტსა და გუნდის მწვრთნელს კი ვერ დავალალატებ“ — თქვა 38 წლის ნადალმა და 18-წლიან კარიერას წერტილი დაუსვა.

ნადალმა კარიერა „მალიორკაში“ დაიწყო და „მალიორკაშივე“ დაასრულა. შუაში კი იყო „ბარსელონა“, როცა 1991 წელს იოჰან კრუიფმა მიიწვია და სადაც რვა ბრწყინვალე სეზონი გაატარა. ამ ხნის მანძილზე ამ საიმედო მცველმა ხუთჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, თითოჯერ ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი და ორჯერ სამეფო თასი. მშობლიურ „მალიორკაში“ დაბრუნებულმა 2003 წელს კარიერაში მესამედ ასწია ესპანეთის თასი.

სტატისტიკურ დავთრებში თუ ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ ნადალს პრიმერადივიზიონში 462 მატჩი ჩაუტარებია და 33 გოლი გაუტანია, სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშია და ესპანეთის ნაკრების მაისური 62-ჯერ მოურგია.

გაბრიელ ომარ ბატისტუტა



იტალიურ „ინტერში“ განათხოვრებულ არგენტინელს 2003 წლის ზაფხულში ყატარული „ალ არაბი“ დაუკავშირდა და ისეთი პირობები შესთავაზა, უარის თქმა შეუძლებელი იყო — ორ სეზონში 7,6 მილიონი ევრო. ბატისტუტაც არაბეთს ჩავიდა და პირველივე სეზონში იქაურთა იმედები გაამართლა, 18 მატჩში 25 გოლი გაიტანა. მეორე სეზონში კი ტრავმებმა გააწამა, იშვიათად უწევდა მოედანზე გასვლა და, ბუნებრივია, გოლებიც გაუიშვიათდა. „ალ არაბის“ შეიხ მეპატრონე კი ფულს სწორედ გოლებისთვის უხდიდა. შეიხმა ითმინა, ითმინა და გაბრიელ ომარს კონტრაქტი გაუწყვიტა, უსაქმოდ დარჩენილი ბატიგოლის მსურველი კი აღარავინ გამოჩნდა.

არგენტინის ნაკრების საუკეთესო მეგოლე (56 გოლი 78 მატჩში) ამჟამად სამწვრთნელო საქმეს სწავლობს და „ფიორენტინას“ თავკაცობაზე ოცნებობს. იმ „ფიორენტინასი“, რომელსაც კარგა ხანი ერთგულად ემსახურა და ფლორენციელებმაც მადლიერების ნიშნად ძეგლი რომ დაუდგეს.

კლაუდიო კანიჯა



კიდევ ერთი არგენტინელი ფორვარდი გამოემშვიდობა ფეხბურთს. „მართალია, კარგ ფორმაში ვარ და თავი 30 წლისა მგონია, მაგრამ, ვფიქრობ, წასვლის დრო მოვიდა“ — განუცხადა ერთ-ერთ ბუენოსაირესულ რადიოს 38 წლის კანიჯამ და მის მსურველ კლუბებს, „სან ლორენსოსა“ და „ნიუელს ოლდ ბოიზს“ იმედები გაუცრუა.

კანიჯამ კარიერა 20 წლის წინ, „რივერ პლეიტში“ დაიწყო, საიდანაც იტალიაში გადაბარგდა და იტალიური სერია A დაამშვენა. იტალიაში „ვერონაში“, „ატალანტასა“ და „რომაში“ ითამაშა, 138 მატჩში 34 გოლი გაიტანა და პორტუგალიაში, „ბენფიკაში“ წავიდა. ლისაბონში დიდხანს არ გაჩერებულა — სამშობლოში დაბრუნდა, „ბოკა ხუნიორსის“ მაისურა მოირგო და დიეგო მარადონასთან ერთად „ბომბონერას“ ახარებდა. მერე იყო შოტლანდია, „დანდი“ და „რეინჯერსი“, ბოლოს კი ყატარი, სადაც მისი თქმით, ფულის გამო კი არა, ეგზოტიკისთვის წავიდა.

კანიჯას სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშია. 1994 წელს, მარადონას დოპინგზე ჩავარდნის მერე, მწვრთნელმა ალფიო ბაზილემ უმალ ამოშალა განაცხადიდან, კლაუდიო ხომ კოკაინის სიყვარულში იყო შემჩნეული (იტალიაში ორჯერ ამხილეს). მანამდე, 1990 წელს კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი შეიქნა.

ბოლო, კორეა-იაპონიის მუნდიალზე მოედანზე არ გასულა, თუმც წითელი ბარათის მიღება კი მოახერხა — სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა მსაჯს შეაგინა.

ჯალმინია

ჯალმა დიას ფეიტოზამ თავისი ბოლო მატჩი მექსიკურ „ამერიკაში“ ითამაშა, საიდანაც ცუდი ფიზიკური ფორმის გამო უდროოდ დაითხოვეს.

რიო დე ჟანეიროს მკვიდრმა კარიერა მშობლიური ქალაქის „ფლამენგოში“ დაიწყო. „მენგოს“ მაშინ ცნობილი ტელე სანტანა წვრთნიდა. მერე იყო მეორე დიდი გუნდი „პალმეირასი“ და კვლავ დიდი მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო. ჯალმინიას კაფუს, ჟუნიორის, ფლავიო კონსეისაოს, რივალდოს, მიულერისა და ლუიზაოს მხარდამხარ მოუწია თამაშმა და სწორედ ამ დროს და სწორედ მათ გვერდით ჩამოყალიბდა ვარსკვლავად. ჯალმა ნაკრების თავკაცებმაც შეამჩნიეს. სადებიუტო მატჩი 1996 წელს, ლიტვის წინააღმდეგ ითამაშა. 1997 წელს კი ბოლივიაში სელესაოს კოპა ამერიკის მოგებაში შეეშველა.

ახალი სეზონი ჯალმინიამ ევროპაში, კერძოდ, პრიმერადივიზიონში, ლა კორუნიის „დეპორტივოში“ დაიწყო. ბრაზილიელი ხავიერ ირურეტას გუნდის ნაღდი ლიდერი შეიქნა. 2000 წელს „დეპორმა“ „რეალს“, „ბარსას“ და „ვალენსიას“ აჯობა და ესპანეთის ჩემპიონი გახდა. ამ საჩემპიონო სეზონში ჯალმინიამ 31 მატჩში 10 გოლი გაიტანა.

2002 წელს სამუნდიალოდ გამზადებულმა ჯალმამ ისეთი რამ ჩაიდინა, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარის მისი კორეა-იაპონიაში წასვლა გადააფიქრებინა — „დეპორის“ ერთ-ერთ ვარჯიშზე მწვრთნელ ირურეტას შუბლში თავი აძგერა. ლაკორუნიელებმა ბრაზილიელს კადნიერი საქციელი აპატიეს, გუნდში დატოვეს, თუმც ერთი წლის თავზე მაინც კარისკენ მიუთითეს. უსაქმოდ დარჩენილ ჯალმას „პალმეირასი“ ეპატიჟებოდა, მაგრამ თავად იუარა და მექსიკას მიაშურა.

მერე კი რაც მოხდა, ზემოთაც გითხარით: 16-წლიანი კარიერის მანძილზე ჯალმინიამ 524 მატჩი ითამაშა და 166 გოლი გაიტანა.

სოსო ქოტორეიშვილი



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჩელსი თავისას ეცდება
ტორესი ინგლისით დაინტერესდა

ფერნანდო ტორესის მომავალი, ალბათ, მალე გაირკვევა

ესპანეთის ნაკრებისა და „ატლეტიკოს“ ფორვარდი ფერნანდო ტორესი გრანდების ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მოთამაშე კვლავაცაა. 21 წლის „ელ ნინიოს“ სახელს ბოლო დროს კატალონიურ „ბარსელონას“ უკავშირებდნენ, მაგრამ მის შეძენაზე ხელი არც „ჩელსის“ ჩაუქნევია. მეტიც, ლონდონელები ხელახლა ჩაერთვნენ ტორესისთვის ბრძოლაში და უკვე მოლაპარაკებაც დაიწყეს.

გავრცელებული ცნობით, ჟოზე მაურინიუ ამ ზაფხულს „ჩელსის“ სამი მაღალი კლასის მოთამაშით გაძლიერებას აპირებს, რომელთაგან ერთი აუცილებლად ფორვარდი იქნება — ტორესის გარდა, კანდიდატთა სიაში ალბერტო ჯილარდინო, ადრიანო და ბენი მაკკარტიც ყოფილან.

თუმც ლონდონელთა შანსები ტორესთან მიმართებაში მაინც მიზერულია. ყოველ შემთხვევაში, მადრიდული კლუბი და თავად ფეხბურთელი ირწმუნებიან, ერთმანეთთან განშორებას არ ვაპირებთო.

„ფერნანდო ტორესს ჩვენთან კონტრაქტი აქვს, თანაც აქ ბედნიერია და არაფრის შეცვლაზე არ ვფიქრობთ. „ატლეტიკოს“ მიზანი წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნებაა“ — განაცხადა მადრიდელთა პრეზიდენტმა ენრიკე სერეზომ.

ფერნანდო ტორესი: „გუნდიდან წასვლას არ ვგეგმავ, თუმც თუ ოდესმე ესპანეთს დავტოვებ, კარიერას სწორედ პრემიერლიგაში გავაგრძელებ. ჩემი მეგობრები მეუბნებიან, ეს საერთოდ სხვა სამყაროაო. ამ თემაზე ხაბი ალონსოს, ლუის გარსიასა და ანტონიო ნუნიესს ვესაუბრე. ისინი აღფრთოვანებულები არიან ინგლისით“.

გიორგი ქაქაბაძე

ჟაკ სანტინიმ „ოსერი“ ჩაიბარა

სანტინის ახალი ეპოქა

„ოსერის“ ხელმძღვანელობას ლეგენდარული გი რუს შემცვლელი დიდხანს არ უძებნია. გუნდს ამიერიდან საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი ჟაკ სანტინი გაწვრთნის.

„მას ძალიან რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს. გი რუს ხანგრძლივი ეპოქის შემდეგ ამ პოსტზე მუშაობა ძნელი იქნება, მაგრამ სანტინის მონდომება და გამბედაობა დასაფასებელია. მისი კანდიდატურა დირექტორთა საბჭოზე ერთხმად დავამტკიცეთ, სულ კი ხუთი კანდიდატი იყო“ — განაცხადა „ოსერის“ თავმჯდომარემ ჟერარ ბურგოინმა.

ხოლო თავად 53 წლის სპეციალისტმა თქვა: „ძალიან გახარებული ვარ და ამაყი. ჩემთვის დიდი პატივია ისეთი ლეგენდარული პიროვნების ადგილზე მუშაობა, როგორიც გი რუა“.

შეგახსენებთ, რომ სანტინის აქამდე „ტულუზი“, „ლილი“, „სენტ ეტიენი“, „სოშო“ და „ლიონი“ გაუწვრთნია. 2002-დან 2004 წლამდე კი ეროვნულ ნაკრებს ედგა სათავეში, სადაც მისი მუშაობა არც ისე წარმატებული გამოდგა. ხოლო გასული სეზონის დასაწყისში მან „ტოტენჰემ ჰოთსპური“ ჩაიბარა, მაგრამ ცოტა ხანში ნისლიანი ალბიონიც დატოვა.

მხარეებს შორის გაფორმებული კონტრაქტის დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება. სანტინის მთავარი ამოცანა კი ცნობილია — შეწყვიტოს „ოსერის“ საკმაოდ ხანგრძლივი უტიტულო სერია.

გიორგი ქაქაბაძე

პრანდელი იებს დაარიგებს

ფლორენციის „ფიორენტინა“, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩეზარე პრანდელიმ ჩაიბარა.

„იები“ ახალ მწვრთნელს პრესას ოფიციალურად კვირის ბოლოს წარუდგენენ. როგორც ამბობენ, „პარმასა“ და „რომას“ ყოფილმა მწვრთნელმა თავის ახალ გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეთანხმებით ორივე მხარე ძალიან კმაყოფილია. ფლორენციელებს პრანდელის მიყვანა ჯერ კიდევ იანვარში სურდათ, მაგრამ მაშინ ეს არ მოხერხდა.

ამასობაში, „ფიორენტინა“ მეკარესაც ეძებს, კანდიდატი კი ბევრია. მათგან ყველაზე რეალურად სებასტიან ფრეის ვარიანტი ჩანს. ამბობენ, „ბოლონიასთან“ გადათამაშების მერე, „პარმას“ კარის დარაჯი „იებთან“ კონტრაქტს გააფორმებსო.

სებასტიან ფრეი: „ფლორენციელთა მაისურის მორგებაზე უარს არ ვიტყოდი. „ფიორენტინა“ ერთ-ერთი გამორჩეული და ამბიციური კლუბია. გუნდში ყველა პირობაა იმისთვის, რომ მომავალში რამე მოიგოს. თუმც ყველაფერი გადათამაშების მერე გაირკვევა. ახლა მხოლოდ „პარმაზე“ ვფიქრობ“.

გიორგი ქაქაბაძე

ჩეზარე პრანდელი „ფიორენტინაში“ კმაყოფილია

ლუკე ლივერპულს შეიზნებს

რაფაელ ბენიტესი „ლივერპულის“ გაძლიერებაზე ფიქრს განაგრძობს და, როგორც ამბობენ, სასურველ ფეხბურთელთა საკმაოდ გრძელი სია აქვს ჩამოწერილი, რომლის სათავეშიც „დეპორტივოს“ ფორვარდი ალბერტ ლუკე ყოფილა. ინგლისურმა კლუბმა უკვე დაიწყო ლაკორუნიელებთან მოლაპარაკება და დიდი შანსია, ეს ტრანსფერი მალე შედგეს.

„ლივერპულისგან“ წინადადება მართლაც მივიღეთ, მაგრამ მათმა პირველმა შემოთავაზებამ არ დაგვაინტერესა. ახლა საქმე სხვაგვარადაა და მოლაპარაკებისთვის მზად ვართ“ — თქვა „დეპორტივოს“ პრეზიდენტმა აუგუსტო სესარ ლენდოირომ.



ნისლიანი ალბიონისკენ გული თავად ფეხბურთელსაც მიუწევს. შეგახსენებთ, რომ 27 წლის თავდამსხმელს დიდი ხანია, „ბარსელონა“ და სხვა კლუბები უტრიალებენ, მას კი ჯერ ვერ გადაუწყვეტია, საით წავიდეს.

ალბერტ ლუკე: „დეპორტივოსთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე მაქვს, მაგრამ ჩემი გადაბირება არაერთ დიდ კლუბს უნდა და ალბათ გუნდსაც გამოვიცვლი. „ბარსელონა“ ესპანეთის ჩემპიონია, მაგრამ „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო, თანაც იქ ჩემი მეგობრები თამაშობენ — ლუის გარსია და მიგელ ხოსემი. ინგლისური ფეხბურთი ძალიან მომწონს და ვიცი, რომ ადაპტაცია არ გამიჭირდება. ვფიქრობ, თავდამსხმელისთვის პრემიერლიგაზე უკეთესი ადგილი არ არსებობს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია“.

აქვე ვთქვათ „ლივერპულის“ კიდევ ერთ სამიზნეზეც. მერსისაიდელთა სკაუტებმა 20 წლის სლოვაკ მცველ მარტინ შკტრელს დაადგეს თვალი. ახალგაზრდა ფეხბურთელით „ჰამბურგი“ და „ანდერლეხტიც“ არიან დაინტერესებულნი, ხოლო სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ უფროსობას თუ ვენდობით, ნევისპირელებს შკტრელის შენარჩუნება იქეთ სურთ.

გიორგი ქაქაბაძე

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

UNDER-21 Championship

I ჯგუფი

ჩეხეთი 2:0 მაკედონია
ფინეთი 1:2 ჰოლანდია
რუმინეთი 2:0 სომხეთი

რუმინეთი	8	5	0	3	16:8	15
ჩეხეთი	6	4	2	0	15:3	14
ჰოლანდია	7	4	2	1	10:4	14
მაკედონია	7	2	2	3	8:11	8
სომხეთი	8	1	2	5	1:16	5
ფინეთი	6	1	0	5	3:11	3

II ჯგუფი

ყაზახეთი 2:1 თურქეთი
საბერძნეთი 0:1 უკრაინა
დანია 7:0 ალბანეთი

დანია	8	7	1	0	24:7	22
უკრაინა	9	5	1	3	14:7	16
საბერძნეთი	9	4	2	3	12:6	14
თურქეთი	9	4	2	3	11:6	14
საქართველო	7	2	2	3	6:14	8
ალბანეთი	9	1	2	6	5:20	5
ყაზახეთი	7	1	0	6	4:16	3

III ჯგუფი

ესტონეთი 0:5 პორტუგალია
ლუქსემბურგი 0:2 სლოვაკეთი

პორტუგალია	7	7	0	0	21:3	21
რუსეთი	6	4	1	1	17:4	13
სლოვაკეთი	7	4	0	3	9:8	12
ლატვია	6	2	2	2	7:8	8
ესტონეთი	7	0	2	5	1:18	2
ლუქსემბურგი	7	0	1	6	3:17	1

V ჯგუფი

ბელარუსი 3:2 შოტლანდია

იტალია	6	5	0	1	10:2	15
ნორვეგია	6	3	1	2	8:6	10
ბელარუსი	6	3	0	3	14:12	9
სლოვენია	6	2	2	2	5:9	8
მოლდოვა	6	1	2	3	4:7	5
შოტლანდია	6	0	3	3	3:8	3

VII ჯგუფი

ესპანეთი 4:2 ბოსნია

ესპანეთი	7	4	2	1	25:6	14
ბელგია	6	4	2	0	16:4	14
სერბეთი	6	4	1	1	19:6	13
ლიტვა	6	2	1	3	5:9	7
ბოსნია	6	2	0	4	10:12	6
სან მარინო	7	0	0	7	2:40	0

VIII ჯგუფი

ისლანდია 0:0 მალტა

ხორვატია	6	5	0	1	8:3	15
შვედეთი	6	4	0	2	12:7	12
უნგრეთი	6	4	0	2	6:3	12
ისლანდია	7	2	1	4	7:7	7
ბულგარეთი	6	2	0	4	6:9	6
მალტა	7	1	1	5	2:12	4

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

იტალია. სერია A 2004-2005

მიმოხილვა. პაპუნა კელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოლი

გახსოვთ შარშანდელი ამბავი? თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ — „იუვენტუსმა“ საერთოდ ვერაფერი მოიგო, ვერც ქვეყნის ჩემპიონობა, ვერც ჩემპიონთა ლიგა, ვერც იტალიის თასი... მოკლედ ცარიელტარიელი დარჩა, რაც ვისთვის-ვისთვის და „ბებერი ქალბატონისთვის“ ყოვლად დაუშვებელი იყო.

და აი, წლევანდელი ამბავი: „იუვე“ კვლავ ჩემპიონია! მან სკუდეტო მოიგო, უფრო სწორედ კი, არ დაანება შარშანდელ ჩემპიონ „მილანს“, რომელთანაც მთელი სეზონის განმავლობაში, როგორც იტალიელი მიმომხილველები ამბობენ, უპრეცედენტო დოლი გამოუვიდა.

ვინაიდან ტურინელთა გამარჯვების მთავარ შემოქმედზე, ფაბიო კაპელოზე, ცალკე წერილს გვერდით გთავაზობთ, ამ სტატიაში მასზე სიტყვას აღარ შევაჩერებთ და მხოლოდ იმას გავიხსენებთ, რომ კაპელომ სეზონის დაწყების წინ ემერსონის, ფაბიო კანავაროს, ზლატან იბრაჰიმოვიჩის, ჯონათან ძებინასა და მანუელე ბლაზის დამატებას შესწირა ისეთი მოთამაშეების იუვენტუსელობა, როგორებიც არიან ენცო მარესკა, მარკო დი ვაიო და ფაბრიციო მიკოლი. სხვათაშორის, კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ეჭვობდა, რომ იბრაჰიმოვიჩი „იუვეს“ სტილს ვერასდროს ან დიდი ხნის შემდეგ შეეწყობოდა, ხოლო ფაბიო კანავაროს, მოგეხსენებათ, ტურინამდე „ინტერში“ გადახდა კოშმარი, საძაგელი სეზონი ჰქონდა და იგი მცდარ შენაძენად მიაჩნდათ, თუმცა, როგორც დარწმუნდით, შიში უსაფუძვლო გამოდგა. პირიქით, კანავაროს დამატებით ტურინელებმა აღადგინეს „პარმას“ ძველი და ცნობილი ტრიო, მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი, ლილიან ტურამი და კანავარო, რამაც მათი კარი ციხესავით აუღებელი გახადა.

საგულისხმოა, რომ პირველი ცხრა თამაშიდან „ბებერმა ქალბატონმა“ რვა მოიგო, ერთი კი ფრედ ითამაშა, თუმცა ამ შთამბეჭდავ სვლას მოჰყვა მოულოდნელი მარცხი რეჯო კალაბრიაში. ახსნა: იმ მატჩში მსაჯებმა რამდენიმე მეტად სადავო და ტურინელთა საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღეს, რამაც შედეგზე იმოქმედა. ამ დღეს სამი თვით დაშავდა დავიდ ტრეზეგეც.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, გარედან „იუვენტუსისთვის“ ყველაფერი ძალიან იოლი ჩანდა. ტურინელები „მილანს“ ექვსი ქულით უსწრებდნენ და ალბათ თავადაც კომფორტულად გრძნობდნენ თავს, მაგრამ აი, დადგა მესამე ფავორიტთან, „ინტერთან“ მატჩის დღე და „იუვემ“ ორგოლიანი უპირატესობა გაუშვა ხელიდან — შეხვედრა ფრედ დასრულდა.

მოკლედ, აქ დაიწყო „შავ-თეთრების“ პირველი მინი-კრიზისი. პირველად სწორედ აქ იჩინა თავი დაღლამ, რასაც განმარტებად აუცილებლად უნდა დავაყოლოთ, რომ კაპელო, „ინტერისა“ და „მილანის“ მწვრთნელთაგან განსხვავებით, როტაციას არ და ვერ მისდევდა, რადგან იმდენი თანაბარი ძალის ფეხბურთელი, რამდენიც კონკურენტებს ჰყავდათ, მას არ ჰყავდა.

და მაინც, „მილანის“ „დელე ალპიზე“ ვიზიტის დღისთვის, „იუვე“ „შავ-წითლებს“ ოთხი ქულით უსწრებდა.

„იუვე“ — „მილანი“ 0:0 დასრულდა.

ზემოთ ვთქვით, რომ ტურინელებს კონკურენტების დარად არ ჰყავდათ ბევრი კარგი ფეხბურთელი. და, როგორ გახსოვთ, რა ქნეს ზამთრის სატრანსფერო სეზონზე? რა და... იგორ ტუდორი, მარკ იულიანო და ნიკოლა ლეგროტალიე გაყიდეს.

30 იანვრისთვის საჩემპიონო ბრძოლა კინაღამ დახურულად გამოცხადდა — „იუვენტუსმა“ „მილანს“ რვა ქულით გაუსწრო, თუმცა... „შავ-წითლების“ დიად გუნდს ოთხად ოთხი ტური დასჭირდა, რათა ცხრილში ტურინელთა და მილანელთა გასწვრივ ქულათა ისევ ერთი და იგივე რაოდენობა ყოფილიყო აღნიშნული. აი, ამ მომენტიდან „ბებერ ქალბატონს“ ცხოვრება გაუძნელდა. ტრეზეგე რომ ტრეზეგეა, ტრავმა კი მოიშუშა და თითქოს საღად უნდა დაბრუნებოდა დაღლილ მეგობრებს, მაგრამ ჯერ გრიპმა ჩააგდო ლოგინად, შემდეგ კი კოჭი იტკინა. პაველ ნედვედიც არ ჩამორჩა ფრანგ ამხანაგს, მანაც იტკინა კოჭი, შემდეგ კი, ჩემპიონთა ლიგაში „რეალთან“ მატჩის დროს ტვინიც შეერყა.

და აქ კაპელო მიხვდა, რომ გუნდი სასწრაფოდ 4-3-3 სისტემაზე უნდა გადაეწყო. ახალი ტაქტიკა მან ჯერ „რეალთან“ საპასუხო შეხვედრაში, ხოლო შემდეგ „რომას“ წინააღმდეგ გამოსცადა. საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ 5 მარტის მატჩი, „რომა“ — „იუვე“ ანუ კაპელოს, ძებინასა და ემერსონის ძველი გუნდის წინააღმდეგ „სტადიო ოლიმპიკოზე“ დაბრუნება, მთელი ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იყო. „იუვემ“ მოიგო 2:1 და უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს დაუმტკიცა, რომ მისი საჩემპიონო განზრახვა ყველანაირი გართულებების მიუხედავად მტკიცე იყო.

მაგრამ, ტურინის გუნდმა მორიგი დარტყმა იგემა — შინ წააგო „ინტერთან“ და... „მილანს“ და მას კვლავ გაუთანაბრდათ ქულები. აი, ასე შეიყარნენ ისინი „სან სიროზე“ მაისის დასაწყისში. იმ დღეს ნათელი იყო, ვინც მოიგებდა, ჩემპიონიც ის ხდებოდა.

მატჩს კი წინ უძღოდა: ზლატან იბრაჰიმოვიჩის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია, ფაბიო კანავაროს „დოპინგ-ვიდეო“ და იძულებითი გაბუტვა პრესასთან.

„იუვენტუსმა“ უკვე მერამდენედ დაბრუნებული ტრეზეგეს გოლით მოიგო...

პაველ ნედვედის „იუვენტუსმა“ ალესანდრო ნესტას „მილანს“ სკუდეტო „სან სიროზე“ ააცალა

მსხვილი გუნდი

იტალიის ჩემპიონატის შემაჯამებელი ბლოკის მესამე წერილად, ხან საუკეთესო ფეხბურთელის შერჩევა და მასზე ორიოდ სიტყვის დაწერა ვიფიქრეთ, ხან რომელიმე სრულიად საგანგებო და გამორჩეული ამბის ცალკე მოყოლა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მიზეზი: ალბათ დაგვეთანხმებით, სერია **A**-ში, სადაც უამრავი ადგილობრივი და უცხოელი ვარსკვლავია თავმოყრილი, რომელიმეს ასე ხელაღებით ამორჩევა და განცხადება, რომ მასთან გასულ სეზონში ახლოს ვერავინ დადგებოდა, წარმოუდგენელია. გამორჩეული ამბავი კი... ხალხის გაავების გამო „მილანის“ და „ინტერის“ შეხვედრა რომ ჩაიშალა, ჩემპიონთა ლიგაში მოხდა, სხვა კი ისეთი, თითქოს არაფერი გვაგონდება.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, გადავწყვიტეთ განმუხტვის მიზნით სიტყვა „ინტერზე“ შევაჩეროთ. ფორმალურადაც ვერავინ მოგვედავება — „ინტერი“ ის გუნდია, მესამეზე რომ გავიდა და შემოდგომიდან ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, ასე რომ, მასზე საუბარი საინტერესოა.

მაგრამ შეუძლებელია, რადგან ამ გუნდის თავს ჩვენი აზრით, რაღაც აუხსნელი ხდება და აბა, აუხსნელი რის აუხსნელია, ჩვენ თუ ავხსენით. კერძოდ, სრულიად გაუგებარია, რატომ ვერ ხდება ეს გიგანტი იტალიის ჩემპიონი 1989 წლის მერე? ხომ ფაქტია, რომ ამ ხნის განმავლობაში, მისმა მეპატრონემ მასიმო მორატიმ იმდენი მილიონი დაახარჯა, საქართველოში რომ ვერც გაფლანგავდნენ და იძულებულნი გახდებოდნენ საქმეც გაეკეთებინათ. იყიდა ათასი ფეხბურთელი რონალდოს ჩათვლით, მაგრამ უშედეგოდ. უფრო სწორედ იმ მისტიკური შედეგით, რომ რონალდო სანამ „რეალში“ არ გაიქცა, ლამის რამდენჯერაც მოედანზე გავიდა, იმდენჯერ დაშავდა და საოპერაციო გახდა. ფაბიო კანავაროს კლასი დაეკარგა და ვისაც არ ეზარებოდა, უპრობლემოდ აურბენდა და ჩაურბენდა (მანაც სხვაგან გაქცევით იხსნა თავი). სულ დაჩაჩანაკდა კრისტიან ვიერი. სანაკრებოდ კი არა, ისე აღარ ვარგა ფრანჩესკო ტოლდო და სხვა...

რობერტო მანჩინის „ინტერმა“ გასულ სეზონში ბევრი გააკვირვა და ბევრიც ასიამოვნა

ხოლო გასულ სეზონში, თავდასხმაზე შეყვარებული ახალგაზრდა მწვრთნელის, რობერტო მანჩინის დებიუტი ფრეების პათოლოგიური რაოდენობით დასრულდა. დიახ, საბოლოოდ „ინტერმა“ ლიგაში ყველაზე მეტი, 18 ფრე ითამაშა, მაგრამ ეს ცალკე იყოს, ზედიზედ 14 ფრის თამაში გახლდათ კოშმარი.

რა ხდება? ერთი რამ ნაღდია, „ინტერი“ იმხელა გუნდია, რომ სერია **B**-ში ვერასდროს გავარდება, რადგან ელემენტარულად გასავარდნ ხვრელში ვერ გაეტევა, მაგრამ სადღაც ფრეების სიმაღლეზე ასეთი გაჭედვაც მეტისმეტად უცნაური გვგონია.

არადა, მართალია ის ხალხი, ვინც ამბობს, რომ „შავ-ლურჯებს“ ამ სეზონში ჩემპიონზე მეტი კარგი ფეხბურთელები ჰყავდა....

იტალია. სერია A 2004-2005

ჰაჰუნა ჯედია. მიმოხილვა

დიდი და საძაგელი დონი



ფაბიო კაპელო: მეტი რაღა უნდა მექნა? იტალიის ჩემპიონები გავხდით

„იუვენტუსი“ ოცდამერვედ გახდა იტალიის ჩემპიონი! ვაშა და დიდება, მაგრამ, იცით თუ არა, რომ ეს ამბავი ბევრისთვის შარშანდელი 28 მაისიდან იყო ცნობილი?

როგორ? ძალიან მარტივად და ამ წერილის ავტორისთვის გასაგებად: 2004 წლის 28 მაისს „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელად დაინიშნა ფაბიო კაპელო.

თუ გახსოვთ, ეს ამბავი მაშინ ყუმბარასავით გასკდა, სრული მოულოდნელობა იყო. არავინ ფიქრობდა, რომ კაპელო „რომას“ დატოვებდა, ტურინში უფრო დიდიე დეშანს ან ჩეზარე პრანდელის ელოდნენ. თან ნუ დაგავიწყდებათ, რომ კაპელოს ადრე ნათქვამი ჰქონდა, „იუვენტუსში“ სამუშაოდ ცოცხალი თავით არ წავალო.

და მაინც, კაპელო „იუვენტუსის“ მწვრთნელი გახდა. სხვა სიტყვებით, „იუვენტუსის“ მწვრთნელი გახდა ადამიანი, რომელიც სადაც კი მისულა, ყველგან ჩემპიონობა მოუგია. ასე იყო „მილანში“, „რეალსა“ და „რომაში“.

„რომაში“ კაპელოს იმოდენა გავლენა ჰქონდა და ყველაფერი იმდენად მის ჭკუასა და გემოზე იყო მორგებული, რომ მწვრთნელის „ბებერ ქალბატონში“ გადასვლის შემდეგ „ჯალოროსიმ“ ერთ სეზონში ოთხი თავკაცი გამოიცვალა, რომელთაც თავიდან ვერაფერი ვერ დაიწყეს.

მოკლედ, ეჭვის შეტანა იმაში, რომ „იუვენტუსის“ გაჩემპიონება უპირველეს ყოვლისა დონ ფაბიოს დამსახურებაა, უბრალოდ გამორიცხულია. მივიდა კაპელო და მიიტანა ახალი და რაც მთავარია, მკაფიო იდეები. მეტისმეტად კონკრეტული იყო მისი სატრანფერო გეგმებიც: ემერსონი „რომადან“, ფაბიო კანავარო „ინტერიდან“ და ზლატან იბრაჰიმოვიჩი „აიაქსიდან“. ცნობისთვის, კანავარო და იბრაჰიმოვიჩი ის ფეხბურთელები გახლავან, რომელთა შეძენა კაპელოს ჯერ კიდევ „რომასთვის“ უნდოდა, მაგრამ რომაელთა სალარო და ავტორიტეტი ამის საშუალებას არ იძლეოდა. შესაბამისად, რაც ვერ შეძლო „რომამ“, შეძლო „იუვენტუსმა“.

მაგრამ, გნებავთ ერთი მეტისმეტად საინტერესო ამბავი გითხრათ? ტურინში, უფრო ზუსტად კი „იუვეს“ ქომაგებს შორის მრავლად არიან ანტიკაპელოისტები! ჯანდაბას, ჯონათან ძებინასა და ზემოხსენებული ემერსონის რომაული წარსული ნაპატიებია, მაგრამ ალექს დელ პიეროს სათადარიგოთა სკამზე დასმა, თან არა ერთხელ და არა ორჯერ, მრავლისთვის სიწმინდეთა ხელყოფის ტოლფასი გამოდგა. და საერთოდ, კაპელო მარჩელო ლიპის ფონზე მთლად ტურინული სულისკვეთების მატარებელი არ ჩანს...

თუმცა „იუვეს“ ოდინდელი ფეხბურთელისთვის, როგორც ნაღდი პროფესიონალისთვის, მთელი ეს ვნებათაღელვა სულერთი გამოდგა — იგი ყველაფერზე მაღლა დადგა და გაიმარჯვა.

„ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია ზუსტად ემთხვევა „იუვეს“ ლეგენდის, ჯამპიერო ბონიპერტის ფილოსოფიას. ერთხელ ბონიპერტის ვკითხე, არის თუ არა შედეგი ყველაფერზე მთავარი-მეთქი. მან მომიგო, რომ ერთადერთი, რასაც აზრი და მნიშვნელობა აქვს, სწორედ შედეგია. საერთოდაც, ამას ბევრი მტკიცება არც სჭირდება — ფეხბურთი მაშინ გსიამოვნებს, როდესაც იგებ, ამიტომაც, ქომაგებს ვთხოვ, იმის მიხედვით შემაფასონ, მოვაგებინე მათ საყვარელ გუნდს თუ წავაგებინე“.

ასე და ამგვარად, ტურინში შესაძლოა, კაპელო ბევრმა ვერ შეიყვაროს, მაგრამ იმის აღიარება კი მოუწევთ, რომ მისი ხელმძღვანელობით „იუვემ“ სკუდეტო მოიგო.

ტურინის მეორე გუნდის, „ტორინოს“ მწვრთნელი ჯანკარლო კამოლეზე: „კაპელოს ღვაწლი „იუვენტუსისთვის“ ფასდაუდებელია, რადგან მე თუ მკითხავთ, გასულ სეზონში მასზე ძლიერი გუნდი „მილანსაც“ ჰყავდა და „ინტერსაც“, მაგრამ თავის ფეხბურთელებს მაქსიმუმი სწორედ მან გამოწურა.“

„იუვეს“ ყოფილი მცველი სერჯო ბრიო: „ეს სკუდეტო პირადად კაპელოს ეკუთვნის. მართალია, ბევრი უკმაყოფილო დარჩა, განსაკუთრებით დელ პიეროს გამო, მაგრამ შედეგი შედეგია და მოდით, ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ „იუვენტუსი“ პირველი ტურიდან ლიდერობდა“.

და ბოლოს: ჩვენი აზრით ფაბიო კაპელომ თავისი სიდიადე, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმითაც დაამტკიცა, რომ „იუვენტუსში“ მარჩელო ლიპი შეცვალა და თან ღირსეულად. ამას, მის გარდა, ალბათ, ვერავინ შეძლებდა.

ისინი ჩემპიონები არიან

იუვენტუსი

მეკარეები

1	ჯანლუიჯი ბუფონი	28.01.78
12	ანტონიო კიმენტი	30.06.70
22	ლანდრი ბონეფოი	20.09.83

მცველები

2	ჩირო ფერარა	11.02.67
4	პაოლო მონტერო	03.09.71
7	ჯანლუკა პესოტო	11.08.70
15	ალესანდრო ბირინდელი	12.11.74
19	ჯანლუკა ძამბროტა	19.02.77
21	ლილიან ტურამი	01.01.72
27	ჯონათან ძებინა	19.07.78
28	ფაბიო კანავარო	13.09.73
34	ანდრეა მასიელო	05.02.86

ნახევარმცველები

3	ალესიო ტაკინარდი	23.07.75
8	ემერსონი	04.04.76
11	პაველ ნედვედი	30.08.72
16	მაურო კამორანეზი	04.10.76
18	სტეფან აპია	24.12.80
20	მანუელე ბლაზი	17.08.80
23	ოლივიე კაპო	27.09.80
24	რუბენ ოლივერა	04.05.83
35	ანდრეა როსი	07.11.86
36	პაოლო დე ჩელიე	17.09.86
40	სიმონე ბენტივოლიო	29.05.85

თავდამსხმელები

9	ზლატან იბრაჰიმოვიჩი	03.10.81
10	ალესანდრო დელ პიერო	09.11.74
17	დავიდ ტრეზეგე	15.10.77
25	მარსელო ზალაიეტა	05.12.78
30	ადრიან მუტუ	08.01.79
37	რეი ვოლპატო	27.08.86
38	მიკელე პაოლუჩი	06.02.86

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

საბოლოო ცხრილი								სულ							შინ							სტუმრად						
№		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	**იუვენტუსი**	38	26	8	4	67:27	40	86	19	15	2	2	38:13	25	47	19	11	6	2	29:14	15	39
2	**მილანი**	38	23	10	5	63:28	35	79	19	11	5	3	38:17	21	38	19	12	5	2	25:11	14	41
3	**ინტერი**	38	18	18	2	65:37	28	72	19	11	7	1	34:16	18	40	19	7	11	1	31:21	10	32
4	**უდინეზე**	38	17	11	10	56:40	16	62	19	8	7	4	29:18	11	31	19	9	4	6	27:22	5	31
5	**სამპდორია**	38	17	10	11	42:29	13	61	19	10	3	6	21:13	8	33	19	7	7	5	21:16	5	28
6	**პალერმო**	38	12	17	9	48:44	4	53	19	9	7	3	28:22	6	34	19	3	10	6	20:22	-2	19
7	**მესინა**	38	12	12	14	44:52	-8	48	19	10	7	2	26:19	7	37	19	2	5	12	18:33	-15	11
8	**რომა**	38	11	12	15	55:58	-3	45	19	6	8	5	31:26	5	26	19	5	4	10	24:32	-8	19
9	**ლივორნო**	38	11	12	15	49:60	-11	45	19	9	5	5	28:25	3	32	19	2	7	10	21:35	-14	13
10	**ლაციო**	38	11	11	16	48:53	-5	44	19	6	6	7	26:24	2	24	19	5	5	9	22:29	-7	20
11	**ლეჩე**	38	10	14	14	66:73	-7	44	19	8	8	3	40:30	10	32	19	2	6	11	26:43	-17	12
12	**კალიარი**	38	10	14	14	51:60	-9	44	19	9	9	1	30:17	13	36	19	1	5	13	21:43	-22	8
13	**რეჯინა**	38	10	14	14	36:45	-9	44	19	7	6	6	21:23	-2	27	19	3	8	8	15:22	-7	17
14	**სიენა**	38	9	16	13	44:55	-11	43	19	5	8	6	21:27	-6	23	19	4	8	7	23:28	-5	20
15	**კიევო**	38	11	10	17	32:49	-17	43	19	8	5	6	20:18	2	29	19	3	5	11	12:31	-19	14
16	**ფიორენტინა**	38	9	15	14	42:50	-8	42	19	7	7	5	29:22	7	28	19	2	8	9	13:28	-15	14
17	*ბოლონია*	38	9	15	14	33:36	-3	42	19	6	7	6	20:17	3	25	19	3	8	8	13:19	-6	17
18	*პარმა*	38	10	12	16	48:65	-17	42	19	8	9	2	33:25	8	33	19	2	3	14	15:40	-25	9
19	**ბრეშა**	38	11	8	19	37:54	-17	41	19	6	3	10	15:22	-7	21	19	5	5	9	22:32	-10	20
20	**ატალანტა**	38	8	11	19	34:45	-11	35	19	7	6	6	21:17	4	27	19	1	5	13	13:28	-15	8

ბომბარდირები	
კ. ლუკარელი (ლივორნო)	24
ჯილარდინო (პარმა)	23
მონტელა (რომა)	21
ტონი (პალერმო)	20
ვუჩინიჩი (ლეჩე)	19
შევჩენკო (მილანი)	17
ადრიანო (ინტერი)	16
იბრაჰიმოვიჩი (იუვენტუსი)	16
მ. ესპოზიტო (კალიარი)	16
დელ პიერო (იუვენტუსი)	14
ფლაკი (სამპდორია)	14
როკი (ლაციო)	13
დი მიკელე (უდინეზე)	13
იაკინტა (უდინეზე)	13
ბოჟინოვი (ლეჩე/ფიორენტინა)	13
კარაჩოლო (ბრეშა)	12
ვიერი (ინტერი)	12
ტოტი (რომა)	12
ძამპანა (მესინა)	12
მიკოლი (ფიორენტინა)	12

გავარდნენ

ბრეშა, ატალანტა; *ბოლონია ან პარმა*

ალზევდნენ

ემპოლი; *ჯენოა, პერუჯა ან ტორინო*

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

იუვენტუსი, მილანი, ინტერი, უდინეზე

უეფას თასი 2005-2006

სამპდორია, პალერმო, რომა

ინტერტოტის თასი 2005

ლაციო

სარგებელი: კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ აქ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი						
		11 ივნისი						
15:00	23	შინიკი-ლოკომოტივი	3.8	3.1	1.95	1.7	1.28	1.19
15:00	24	ზენიტი-სპარტაკი	2.35	3.0	2.9	1.31	1.29	1.47
		12 ივნისი						
15:00	25	ამკარი-ტომსკი	1.75	3.1	4.6	1.11	1.26	1.85
15:00	26	დინამო-ალანია	1.5	3.5	6.5	1.04	1.21	2.27
15:00	27	მოსკოვი-კრილია	1.75	3.2	4.5	1.13	1.25	1.87
15:00	28	როსტოვი-ტერეკი	2.0	3.1	3.6	1.21	1.28	1.66
15:00	29	რუბინი-ცსკა	3.8	3.2	1.85	1.73	1.24	1.17
15:00	30	სატურნი-ტორპედო	2.4	2.9	2.9	1.31	1.31	1.45
		პოლონეთი						
		9 ივნისი						
21:00	31	კრაკოვია-პოგონი	1.55	3.6	4.7	1.08	1.16	2.03
21:00	32	ჟურნიკი-პოლონია	1.75	3.2	4.0	1.13	1.21	1.77
21:00	33	გროცლინი-ლეჩნა	1.5	3.6	5.3	1.05	1.16	2.14
21:00	34	ლეხი-ვისლა	3.15	3.1	2.05	1.56	1.24	1.23
21:00	35	ლეგია-კატოვიცე	1.15	6.0	10.0	1.0	1.03	3.75
21:00	36	ოდრა-პლოცკი	2.15	3.2	2.85	1.28	1.22	1.5
21:00	37	ზაგლებე-ამიკა	2.0	3.1	3.2	1.21	1.23	1.57
		სლოვაკეთი						
		12 ივნისი						
19:30	45	დუბნიცა-სობოტა	1.55	3.6	5.3	1.08	1.19	2.14
19:30	46	ინტერი-ტრნავა	2.05	3.0	3.2	1.21	1.24	1.54
19:30	47	ჰუხოვი-ბ.ბისტრიცა	2.2	3.0	3.0	1.26	1.26	1.5
19:30	48	რუჟომბეროკი-პეტრუალკა	3.2	2.8	2.25	1.49	1.32	1.24
19:30	49	ტრენჩინი-ჟილინა	2.9	3.2	2.15	1.52	1.23	1.28
		დანია. სუპერლიგა						
		11 ივნისი						
19:00	50	ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე	1.2	5.5	9.0	1.0	1.05	3.41
		12 ივნისი						
17:00	51	ოდენსე-ოლბორგი	2.4	3.3	2.55	1.38	1.23	1.43
17:00	52	რანდერსი-მიდტიულანდი	2.9	3.4	2.1	1.56	1.21	1.29
17:00	53	სილკებორგი-ორჰუსი	2.1	3.3	3.0	1.28	1.23	1.57
17:00	54	ვიბორგი-ნორდსიელანდი	1.85	3.3	3.6	1.18	1.22	1.72
19:30	55	კოპენჰაგენი-ესბიერგი	1.9	3.4	3.5	1.21	1.23	1.72
		დანია. I დივიზიონი						
		09 ივნისი						
21:00	285	ჰორსენსი-ფრემი	2.3	3.6	2.5	1.4	1.19	1.47
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		12 ივნისი						
20:00	64	ფრედრიქსტადბოდო ელიტი	2.15	3.3	3.1	1.3	1.26	1.59
20:00	65	ლილესტრიომი-ალესუნდი	1.5	4.0	5.8	1.09	1.19	2.36
20:00	66	ოდ გრენლანდი-მოლდე	2.3	3.3	2.75	1.35	1.25	1.5
20:00	67	რუსენბორგი-ჰამარი	1.35	5.0	6.5	1.06	1.11	2.82
20:00	68	სტარტი-ტრომსიო	1.75	3.5	4.0	1.16	1.21	1.86
22:15	69	ლინი-ვოლერენგა	2.7	3.2	2.45	1.46	1.28	1.38
		13 ივნისი						
21:00	70	ვიკინგი-ბრანი	2.5	3.3	2.55	1.42	1.26	1.43
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		11 ივნისი						
19:00	71	მანდალი-ალტა	1.65	4.2	3.8	1.18	1.15	1.99
		12 ივნისი						
20:00	72	სანდეფიორდი-ბრინი	2.05	3.7	2.9	1.31	1.2	1.62
20:00	73	სკეიდი-ჰიონეფოსი	2.3	3.8	2.35	1.43	1.16	1.45
20:00	74	სოგნდალი-სტრიომსგოდსეტი	1.55	4.0	4.5	1.11	1.15	2.11
20:00	75	ფოლო-ტონსბერგი	2.8	3.9	2.05	1.62	1.18	1.34
20:00	76	ჰიოდი-მოსი	2.3	3.7	2.5	1.41	1.19	1.49
20:00	77	კონგსვინგერი-სტაბეკი	3.4	3.7	1.85	1.77	1.19	1.23
20:00	78	ლოვ ჰამ-პორს ვრენლანდი	2.6	4.0	2.2	1.57	1.19	1.41
		შვედეთი. სუპერეტა						
		9 ივნისი						
21:00	92	აიკ-ატვიდაბერგი	1.6	3.7	4.9	1.11	1.2	2.1
		ფინეთი						
		11 ივნისი						
17:00	101	ტურკუ-მიუპა	2.8	3.2	2.3	1.49	1.26	1.33
		12 ივნისი						
20:00	102	ალიანსი-ტპ 47	1.5	3.6	6.0	1.05	1.2	2.25
20:00	103	ჰაკა-ლაჰტი	1.6	3.5	5.0	1.09	1.21	2.05
20:00	104	ინტერი-კტპ	1.6	3.6	4.8	1.1	1.2	2.05
20:00	105	კუოპიო-ტამპერე	3.4	3.2	2.0	1.64	1.25	1.23
20:00	106	მარიეჰამნი-იარო	1.8	3.3	3.9	1.16	1.23	1.78
20:00	107	როვანიემი-ჰიკ	4.1	3.4	1.75	1.85	1.22	1.15
		აშშ						
		11 ივნისი						
23:45	113	კოლამბუსი-კოლორადო	1.8	3.2	3.9	1.15	1.23	1.75
23:45	114	კანზასი-ნიუ ინგლენდი	2.35	3.1	2.65	1.33	1.24	1.42
23:45	115	ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი	1.5	3.6	5.5	1.05	1.17	2.17
		12 ივნისი						
23:45	116	ნიუ იორკი-ვაშინგტონი	2.0	3.0	3.4	1.2	1.25	1.59
23:45	117	ჩიკაგო-დალასი	2.45	3.0	2.55	1.34	1.24	1.37
23:45	118	ჩივასი-სან ხოსე	2.85	3.1	2.25	1.48	1.25	1.3



			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები.						
		9 ივნისი						
20:00	286	გერმანია-იტალია	1.25	4.9	9.0	1.0	1.09	3.17
23:00	287	ნორვეგია-საფრანგეთი	2.1	3.1	3.0	1.25	1.23	1.52
		ამხანაგური მატჩები						
		9 ივნისი						
22:30	288	ავსტრალია-ახალი ზელანდია	1.4	3.8	7.0	1.02	1.16	2.46
		იტალია. თასი						
		12 ივნისი						
23:30	192	რომა-ინტერი	2.5	2.9	2.8	1.34	1.32	1.42
		ესპანეთი. თასი						
		11 ივნისი						
23:00	193	ბეტისი-ოსასუნა	2.1	3.2	3.1	1.26	1.25	1.57
		შვედეთი. თასი						
		9 ივნისი						
21:00	197	გიოტებორგი-ელფსბორგი	1.7	3.4	4.5	1.13	1.23	1.93

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		10 ივნისი						
21:00	198	ენსკედე-იურგორდენი	9.0	4.5	1.3	3.0	1.13	1.0
		ჰოლანდია. პლეი ოფი						
		9 ივნისი						
22:00	211	ვენლო-როზენდალი	3.8	2.9	1.9	1.64	1.26	1.14
22:00	212	ვოლენდამი-ტელსტარი	1.6	3.6	4.5	1.1	1.18	2.0
22:00	213	ზვოლე-ვრააფსხაპი	2.25	3.3	2.65	1.33	1.21	1.46
21:05	214	ჰელმონდი-სპარტა	2.45	3.1	2.5	1.36	1.23	1.38
		კალათბურთი. NBA						
		9 ივნისი						
23:45	284	სან ანტონიო-დეტროიტი	1.4	12.0	2.8	1.25	1.0	2.27
		კალათბურთი. რუსეთი. ჩემპიონატი. III ადგილი						
		9 ივნისი						
18:00	352	უნიქსი-ხიმკი	1.4	14.0	2.7	1.27	1.0	2.26
		კრივი						
		11 ივნისი						
23:45	219	ტაისონი მ-მაკბრაიდი კ	1.07	----------	26.0	----------		6.5

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10
	აღმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200
	გურამიშვილის გამზირი №50
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი
	წერეთლის გამზირი №141
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13
	ჭავჭავაძის № 67
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16
წნორი	სტალინის ქუჩა №1
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7

კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
მეტრო „ღრმაღელესთან“
დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
ცენტრალური ავტოსადგური

ზაზა ფაჩულია: სიამოვნებით დავრჩებოდი მილუოკიში

ზაზა ფაჩულია ფოტო

კვირაზე მეტია, ზაზა ფაჩულია თბილისშია, მაგრამ მას გუშინდელამდე ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ ჰქონია. ის მთლიანად იმ საწვრთნელი კემპის ორგანიზებით იყო დაკავებული, რომელიც 13-დან 16 ივნისამდე სამი ქალაქის — თბილისი, რუსთავი, ქუთაისი — მასშტაბით უნდა გაიმართოს. კემპების გამართვა ნბა-ს მოთამაშეთათვის მიღებული პრაქტიკაა, თუმც ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა ახალგაზრდა კალათბურთელებს უმეტესად გარკვეული თანხა უჯდებათ. ფაჩულია სრულიად უსასყიდლოდ მართვს კემპს, რომლის მონაწილე დაახლოებით 70 ბავშვს „ადიდასის“ მაისურებითა და საკუთარი პოსტერებით დააჯილდოებს. ამ სამწვრთნელო ბანაკის მთავარი ფიგურა „მილუოკი ბაქსის“ ერთ-ერთი მწვრთნელი სკიპ რობინსონი იქნება.

ერთი სიტყვით, თავად ფაჩულიას მოვუსმინოთ, ვისი პრესკონფერენციაც გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გაიმართა.

„მე ყოველი სეზონის შემდეგ ჩამოვდივარ საქართველოში, მაგრამ ეს ვიზიტი განსაკუთრებულია. ახალგაზრდა მოთამაშეებს ვასაჩუქრებ და საწვრთნელ კემპს ვაწყობ, რომელიც თბილისში დაიწყება და რუსთავის შემდეგ ქუთაისში დასრულდება. ასეთი რამ საქართველოში ჯერ არ მომხდარა. ვფიქრობ, ყველაფერი სასიკეთოდ და ლამაზად ჩაივლის. სპეციალურად ამ კემპის გასაძღოლად ამერიკიდან სკიპ რობინსონი, „მილუოკის“ ერთ-ერთი მწვრთნელი ჩამოვა. ამ ღონისძიების ყველა მონაწილე ბავშვი საჩუქრად მიიღებს ჩემს პოსტერებს, მაისურებს და სხვადასხვა საკალათბურთო ატრიბუტიკას...

...ასაკი განსაზღვრულია — 15-16 წელი. ესაა პირველი კემპი და არ მინდოდა, ეგრევე დიდი და განსაკუთრებული გამოსულიყო. დასაწყისისთვის შედარებით მოკრძალებული ღონისძიება იქნება, დაახლოებით 70 ბავშვი მიიღებს მონაწილეობას. თუმც ყოველწლიურად მასშტაბები გაიზრდება, როგორც ბავშვთა რაოდენობის, ისე მოწვეულ მწვრთნელთა მხრივაც...

...რობინსონი თავისი სამწვრთნელო პროგრამით ჩამოვა. ის სამწვრთნელო კემპების გამართვის სპეციალისტია. თბილისიდან ის მაიკლ რედის კემპზე მიდის, მერე დესმონდ მეისონისაზე...

...ეს გახლავთ ოფიციალური, ნბა-სგან ლიცენზირებული კემპი. მე ეს იდეა რომ გამიჩნდა, ნბა-ს ოფისს მივმართე, რომელიც „მილუოკი ბაქს“ და კომპანია „ადიდასს“ დაუკავშირდა და ამ კემპის გამართვაც გადაწყდა. საქართველოში ჩემი დამხმარეები არიან კალათბურთის ფედერაცია და ამერიკის საელჩო. ეს იქნება სრულიად უფასო კემპი, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს — ნბა-ს მოთამაშეთა უმეტესობა ფასიან კემპებს ატარებს“.

— ამით ზაზა ფაჩულიამ თავისი კემპის პრეზენტაცია მოათავა და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. თავდაპირველად ზაზას ნაკრებზე დაეკითხნენ:

— რას ფიქრობთ, ერთი თვე საკმარისი იქნება იმ პრინციპული თამაშებისთვის მოსამზადებლად, რომლებიც სექტემბერში გველის?

— პრინციპში ასეთი ვითარებაში არიან ნბა-ს გუნდებიც. მაგალითად, „მილუოკი“ ოქტომბრის დასაწყისში იკრიბება და ამ თვის ბოლოს უკვე ჩემპიონატი იწყება. მაგრამ იქ სულ სხვაგვარადაა საქმე. სეზონში 82 მატჩის გამართვა გიწევს და საწყისი 10 შეხვედრა რომც წაგო, პლეი ოფში გასვლის შანსებს ინარჩუნებ. ჩვენი ნაკრების პირველივე მატჩი კი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და რა როგორ იქნება, მწვრთნელზე და კალათბურთელებზეა დამოკიდებული არ ვიცი. მე მოთამაშე ვარ და, რასაც მეტყვიან, გავაკეთებ.

— ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი ალბათ ფინეთთან გველის...

— რა თქმა უნდა, ფინეთთან, რადგან ეს თამაში თუ ვერ მოვიგეთ, ყველაფერი აზრს კარგავს. თუმც ამის შემდეგ უკვე მომდევნო მატჩი იქნება გადამწყვეტი და ასე გაგრძელდება, მანამ, სანამ A დივიზიონის საგზურს არ მოვიპოვებთ. უდიდესი ყურადღება გვმართებს, მით უფრო, რომ ახალი მწვრთნელი და რამდენიმე გამოუცდელი მოთამაშე გვყავს.

— ეს სეზონი შენთვის გაცილებით შედეგიანი იყო და რა არის ამის მიზეზი?

— როცა „ორლანდოდან“ „მილუოკში“ გადავედი, რა თქმა უნდა, ვნერვიულობდი, არ ვიცოდი, ახალი გარემო როგორ იმოქმედებდა ჩემზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „მილუოკში“ საკმაოდ კარგი ატმოსფერო სუფევდა. ყველაფერს კარგად ავუღე ალღო და ამან თავისებური ბიძგი მომცა. ამას გარდა, უკვალოდ არ ჩაუვლია იმ ვარჯიშებს, რომლის შესრულებაც შარშან ზაფხულში მომიწია. დიდი მონდომების ხარჯზე ყველა სათამაშო მაჩვენებელი მინიმუმ 18 პროცენტით გავაუმჯობესე. სტატისტიკა ყველაფერზე მეტყველებს. მიუხედავად პროგრესისა, ვთვლი, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და ბევრი რამის დახვეწა შემიძლია. საამისოდ ვარჯიშს არ ვიკლებ და თუ მეტი სათამაშო დროც მექნება, ალბათ უფრო დავიხვეწები.

— ჩავარდნებიც გქონდა და ამის მიზეზად რას დაასახელებ?

— შუა სეზონში ჩვენს გუნდში გაცვლა მოხდა. გამთამაშებელი წავიდა და ფორვარდი მოვიდა. სწორედ ამის შემდეგ დაახლოებით 6-7 მატჩში გამიჭირდა, რადგან გამთამაშებლის გარეშე თამაშს არ ვიყავი ნაჩვევი. იკლო პასებით მომარაგებამ და სანამ ამას ალღო ავუღე, ოციოდე დღე გავიდა.

— რას იტყვი ჩემს ნაკრებზე, ერთ-დან გაძურიჩზე?

— გაძურიჩი ნაკრებში ჩემზე ერთი წლით ადრე მივიდა და, ცხადია, გამოცდილებაც ჩემზე მეტი აქვს. ის კარგი მოთამაშეა, რაღაცაში მჯობს, რაღაცაში — ვერა. მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვინ ათამაშოს უფრო მეტი ხნით. მაგალითად, ჩემი თანაგუნდელი ტონი კუკოჩი მეუბნებოდა, მე რომ მწვრთნელი ვიყო, ძირითადში შენ გათამაშებდიო.

— რომელი მატჩი დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად?

— „ნიუ ჯერსისთან“ კარიერის პირველი ორმაგი დუბლი შევასრულე და ამ მატჩს მივიჩნევ საუკეთესოდ. მანამდეც და მერეც არაერთხელ მქონდა ორმაგი დუბლის შესრულების შანსი, მაგრამ ხან ქულა მაკლდებოდა, ხან ერთი მოხსნა. გამოვარჩევდი კიდევ „ორლანდოსთან“ შეხვედრას, რომელშიც 9 ქულა, 11 მოხსნა და 6 პასი გავაკეთე. ამ მატჩს შესვენებაზე „მილუოკის“ ასისტენმა მწვრთნელმა გასახდელში დაფაზე დაწერა, ზაზა სამმაგ დუბლს გააკეთებსო. მარტო პირველ ტაიმში 6 პასი დამიგროვდა, თუმც მეორეში ველარ ავაწყვე თამაში და ამდენივე პასი დამრჩა.

— შენი ყველაზე სუსტი წერტილი რა არის?

— პირველ რიგში საშუალო ტყორცნაზე უნდა ვიმუშავო. ყველა ამბობს, რომ მე ფორვარდის მონაცემები მაქვს და მიზანი თუ გამოვისწორე, კარგი თავდამსხმელი ვიქნები. სხვათა შორის, მე და გაძურიჩი ერთმანეთს კარგად ვუგებთ მოედანზე და ასეთი გეგმაც არსებობს: მე 4, მან კი 5 ნომერზე ითამაშოს.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს „მილუოკში“ რჩებოდე, არადა, თავისუფალი აგენტი ხარ...

— დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი „მილუოკში“, რადგან ამ გუნდში უკვე ყველა კარგად მიცნობს. თანაც გადაწყდა, რომ მთავარი მწვრთნელი და გენმენეჯერი გუნდში რჩებიან, ხოლო ისინი მე კარგი თვალით მიყურებენ, სჯერათ ჩემი. არიან სხვა მსურველებიც, ახლა ხომ მაღალ მოთამაშეებზე დიდი მოთხოვნილებაა. „ფინიქსს“ წლეულს ცენტრი რომ ჰყოლოდა, უფრო შორს წავიდოდა. ვნახოთ, უგუნდოდ ნაღდად არ დავრჩები.

ირაკლი პერტაია

ოლიმპიზმი

ნიუ-იორკმა ოლიმპიადაზე ხელი აილო

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისიის ერთმა წინადადებამ ნიუ იორკის თაობაზე ამ ქალაქს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის შანსებზე ხაზი გადაასმევინა. ეს წინადადება დაახლოებით ასეთი იყო — ყველაფერი ნათელი არ არის მანჰეტენზე ოლიმპიური სტადიონის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც 2 მილიარდზე მეტი ჯდებაო.

მანჰეტენზე ამ სტადიონის მშენებლობა, სადაც ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნა-დახურვის ცერემონიალები და მძლეოსანთა შეჯიბრება უნდა გამართულიყო, ბიუჯეტთან დაკავშირებული პრობლემების გამო სამჯერ გადაიდო. ნიუ იორკის საკანონმდებლო კრების საკონტროლო კომისიამ ამ საქმის განხილვა სამჯერ დანიშნა და სამივეჯერ გადაიდო. ბოლოს როგორც კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელმა კომისიამ თავისი ვერდიქტი გამოიტანა, ნიუ იორკის საკანონმდებლო კრებამაც „შვებით“ ამოისუნთქა და უარი თქვა სტადიონის მშენებლობაზე, რითაც ამ ქალაქმა უარი თქვა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე.

სტადიონის მშენებლობის პროექტის დასამტკიცებლად საჭირო იყო კომისიის უკლებლივ ყველა წევრის თანხმობა, მაგრამ ორმა მათგანმა თავი შეიკავა.



ორი ტურნირი ერთ ტურნირში



თბილისში ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირები ამიერიდან ერთდროულად, ერთ დარბაზში ჩატარდება. ბერძნულ-რომაულ და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გაერთიანების შესახებ ჭიდაობის ფედერაციიდან გუშინ გვაცნობეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივნისში ეს ორი ტურნირი ერთი ან ორი კვირის ინტერვალით უნდა ჩატარებულიყო — გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა — მაგრამ გადავწყვიტეთ, ორივე ერთ შაბათ-კვირაში ჩაგვეტია. ბოლო წლებში ერთიანი შეჯიბრების პრაქტიკა თავად საერთაშორისო ფედერაციამ დაგვემა. ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებიც უკვე ორივე სახეობაში ერთდროულად ტარდება. ბალავაძისა და კარტოზიას ტურნირებს სპორტის სასახლე 18-19 ივნისს უმასპინძლებს. ორი ხალიჩა გაიშლება, ერთზე თავისუფლები იჭიდავებენ, ხოლო მეორეზე ბერძენ-რომაელები“.

რომელი ქვეყნის დელეგაციები გვეწვევიან და როგორი სიძლიერს ტურნირები გამოვა, საქართველოს ფედერაციისთვის ჯერ უცნობია. კარტოზია-ბალავაძის სახელობის ტურნირის ჩატარების თარიღი ადრევე რომ დაზუსტებულიყო, ალბათ გამოხმაურებაც მეტი იქნებოდა. საერთაშორისო ტურნირების კალენდარი ხომ წლის დასაწყისში იგეგმება და ნაკრებებიც წინასწარვე განსაზღვრავენ ხოლმე, სად გაემგზავრებიან.

„ტურნირების გაერთიანების შესახებ ინფორმაცია სხვა ქვეყნების ფედერაციებში უკვე დავაგზავნეთ და ამ დღეებში მონაწილეობის მსურველთა განაცხადებებსაც ველოდებით“ — დასძინა შოშიტაშვილმა.

ოთარ მაღლაკელიძე

მერაბ გაბუნია, დავით კაჭარავა და ირაკლი კიაზაშვილი

ლევან მგელაძე

ოქროს ბიჭები

ევროპის დამყრობნი მსოფლიოზე ფიქრობენ

ოცწლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ პრესკონფერენცია მოაწყო. ევროპის ჩემპიონი გუნდის თავკაცი ლევან მგელაძე, მენეჯერი ბესო გოცაძე და მორაგბეები — ირაკლი კიაზაშვილი, მერაბ გაბუნია და დავით კაჭარავა ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ ქართველ ჟურნალისტებს ერთად პირველად შეხვდნენ და გამარჯვების დღეები გაიხსენეს.

პირველი სიტყვა მგელაძისა იყო, რომელიც ევროპირველობის შემდეგ გუნდს თბილისში არ გამოჰყოლია და მხოლო ამ დღეებში ჩამოვიდა.

— გილოცავთ ყველას დიდ გამარჯვებას. ბოლო ათწლეულში ეს პირველი ქართული გუნდია, რომელმაც სპორტის გუნდურ სახეობაში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. მადლობა ყველას, ვინც ამ წარმატებაში თუნდაც უმნიშვნელო წილი დადო. წინასაევროპო სამზადისი მართლაც უმძიმესი იყო ჩვენთვის. ელემენტარული, სავარჯიშო სტადიონი არ გვქონდა, მაგრამ იყო მთავარი — საბრძოლო შემართება და უდიდესი მონდომება.

...ჩვენი ნაკრების მიმართ კეთილგანწყობა აშკარად თვალში საცემი იყო. პირდაპირ ამბობდნენ, რომ ძლიერი ნაკრები გვყავდა, თუმც ფავორიტებს მაინც არ მიგვაკუთვნებდნენ. ყველა რუმინეთის ჩემპიონობას წინასწარმეტყველებდა. მეორე ადგილზე კი რუსები გაჰყავდათ. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ მათ გაოცებას, როცა ორივე ფავორიტს ვძლიეთ.

ბესო გოცაძე:

ყველას ვუსურვებ იმ ბედნიერ წუთებს, მე რომ განვიცადე. ქართველი მორაგეების მხარდამჭერთა რაოდენობა თამაშიდან თამაშამდე იზრდებოდა. სულ სამი პრიზი გათამაშდა და აქედან ორი ჩვენს ბიჭებს ერგოთ. ირაკლი კიაზაშვილი ბომბარდირი გახდა, ხოლო მერაბ გაბუნიას ყველაზე მებრძოლი მოთამაშის პრიზი გადასცეს.

...განსაკუთრებული ოვაციები კიაზაშვილის ფეხით თამაშს მოჰყვებოდა ხოლმე. გარეგნობის გამო ოქროს ვილკინსონსაც კი ეძახდნენ და ბოლოს საქართველოს ნაკრებს უწოდეს ოქროს ბიჭების გუნდი. მეტოქეებიც ცდილობდნენ, ირაკლიზე ეუხეშათ. სრულიად უხიფათო მომენტებისასაც კი პირდაპირ ფეხებში ურტყამდნენ.

ირაკლი კიაზაშვილი:

პრობლემების მიუხედავად, ჩვენი მიზანი მხოლოდ ჩემპიონობა იყო. დარწმუნებული ვიყავით, რომ არც ერთი ჩვენგანი ამისთვის თავს არ დაზოგავდა. ნელ-ნელა თავდაჯერებულობა კიდევ უფრო გაიზარდა, რაშიც გამარჯვებებთან ერთად ტრიბუნების მხარდაჭერაც ძლიერ დაგვეხმარა. მაყურებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენს მხარეს იყო, ფინალში კი სხვა ნაკრებებიც გვქომაგობდნენ.

ახალგაზრდა მორაგბეებს ახლა მსოფლიოს ჩემპიონატი ელით, თუმც ჯერ არავინ იცის, მასზე თამაშის უფლებას მისცემენ თუ არა. ერთნი ამბობენ, რომ ევროპის ჩემპიონობა მსოფლიოს საგზურის ავტომატურად მოპოვებასაც ნიშნავსო, მაგრამ საბოლოო სიტყვა საერთაშორისო ფედერაციამ სავარაუდოდ ივლისის ბოლოს უნდა თქვას.

ოთარ მაღლაკელიძე



ლეიტონ ჰიუიტი

სწორება უიმბლდონისკენ!

ჯალაბი ბალახობაზე გადავიდა

THE STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS
ლონდონი. ბალახი.
საპრიზო 659 ათასი ევრო

პირველი წრე

ტაილორ დენტი (9, აშშ) — ტომას ბერენდი (გერმანია) 6:4 6:3; რიშარ გასკე (10, საფრანგეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სდმ) 6:1 7:6 (7:3); მაქს მირნი (15, ბელარუსი) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 7:6 (7:5) 3:6 6:2; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია) 6:4 6:0

მეორე წრე

ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:7 (3:7) 7:5 7:5; ტიმ ჰენმანი (3, ბრიტანეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 (7:5) 4:6 6:1; რადეკ შტეპანეკი (4, ჩეხეთი) — გრეგორი კარა (საფრანგეთი) 6:2 4:6 7:5; სებასტიან გროშანი (7, საფრანგეთი) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 7:5 6:3

გასრულდა როლანგაროსობა და მსოფლიოს უწაუქესმა მეჩოგნეებმაც ბალახსაფრიან კორტებზე გადაინაცვლეს. ორიოდ კვირაში უიმბლდონი გველის და თიხნარზე ნასარჯმა ამქარმაც სეზონის სა-ამ-უბობოლეს-ტურნიროდ ბალახთან გაჩვევა უნდა მოასწროს.

კარგია, რომ ჩოგნის განძრევა იკადრა და ხანგრძლივი უქმობა-ვითომტრავმიანობის შემდეგ კორტს მოუბრუნდა სტელაარტუას სამგზის (2000-02) ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი, ვისაც — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — ინდიანუელსობის ფინალში როჯერ ფედერერთან წაგების ანუ ადრემარტის შემდეგ აღარსად ეთამაშა.

ამდენი ხნის უქმობამ კისკას ოზბიჭს დასტურ ჟანგის კვალი დაატყო და სწორედ ამიტომ თუ ცდილობდა ის მის მიერ აქამომდელ ოთხ მატჩში სამჯერ ძლეულ ქსავიე მალისთან ისე ფრთხილად ბურთაობას, რომ თავად რაც შეიძლება ნაკლებად მიექარა, მეტოქისთვის კი შეძლებისდაგვარად მეტად მიექარვინებინა. თუმცა თავიდან მას ეს არ გამოსდიოდა და მისი თავდაუჯერებლობით გათამამებული ბელგიელი რომ ნიადაგ კადნიერ კომბინაციებს ქსელავდა, თვითონ ლამის მხოლოდ ზუსტი მოწოდებით ახერხებდა გავაკებას. ერთი სიტყვით — პირველ სეტში ორივემ თავისი მიითვალა და საქმეც აიდოსტზე გაირჩა, სადაც უფრო შემოქმედებითად მოთამაშე მალისმა იმარჯვა.

მატჩის ხასიათი არც მომდევნო სეტებში შეცვლილა, თუმცა ყოველ გათამაშებასთან ერთად აშკარა ხდებოდა, რომ ჰიუიტი სულ უფრო და უფრო შედიოდა ეშხში. მის დარტყმებს თვალსა და ხელს შუა ემატებოდა სიზუსტეც, ძალაც და სითამამეც. მერე კი აქა-იქ მხოლოდ ჰიუიტისეული ბასრი შემოვლებულებიც გამოკრთა და, როცა ოზბიჭმა გადამწყვეტ მომენტებში ტემპსაც უმატა, მალისის სტაბილურობასა და თანმიმდევრულობას უმალ ზღვარი დაედო. ჰიუიტმა იგი ორივე დარჩენილი სეტის მე-11 გეიმში გატეხა და მატჩის დაწყებიდან ორ საათსა და 38 წუთში კორტი კაცურად ნასპარინგებმა დატოვა. დღეს კორტი ძალიან ნელი იყო და მომგებიანი დარტყმების გლაჯუნიც ამიტომ ჭირდაო, ამბობდა ის ნამატჩევს და მერე დასძენდა, კმაყოფილი ვარ, ამ შეხვედრიდან კარგი რიტმი რომ გამოვიყოლეო.

ჩვენის მხრივ კი იმას დავსძენთ, რომ ამ უნიჭიერი ავსტრალიელი მეჩოგნის წარმატებებს ჩვენც ყოველთვის გადაპიპინებული სტაქნებით შევეგებებით.

GERRY WEBER OPEN
ჰალე. ბალახი. საპრიზო 659 ათასი ევრო

პირველი წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:7 (5:7) 7:6 (8:6) 6:4; რაინერ შუტლერი (გერმანია) — დავიდ ნალბანდიანი (5, არგენტინა) 6:3 6:3; ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) — იოახიმ იოჰანსონი (6, შვედეთი) 7:6 (7:4) 6:1

დიდი შანსია, ამ ტურნირის ნახევარფინალში წლეულს მესამედ ვიხილოთ ამქრის ზეგარდმო პირველობისან როჯერ ფედერერისა და 19 წლის ფასკუნჯ რაფაელ ნადალის ხანჯლური. ეგ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი შარშანდელი ჩემპიონიცა და საუიმბლდონოდ ჰალეში პირველად მობალახე რაფოც ნახევარფინალს უწევენ. ფედერერმა ამ შანსის გასამართლებლად ნაბიჯი ყრმა ესპანელზე ადრე გადადგა, როცა შვედ სოდერლინგს ორი საათისა და 21 წუთის განმავლობაში ეპაექრა და ბეწვზე გადაურჩა ტურნირის სტარტიდანვე გაბუნტულებას. ეგ იმიტომ, რომ მეორე სეტში შვედს საბოლოო გამარჯვებისგან სამჯერ აშორებდა ორი ქულა, თუმცა ვერ იქნა და ჩალაღაჯით დადებულ პირველოსანს ბეჭები ვერ დაადებინა. ამან კი, რაკილა თავი სამშვიდობოს დაიგულა, მყისვე დარბაისლურად აბურთავდა და გადამწყვეტ სეტში შვედი სწორედ მაშინ გატეხა, როცა რომ ეგ ყველაზე ეფექტური იქნებოდა ანუ უკანასკნელ, მეათე გეიმში.

ამგვარად, თავის მესამე ჰალეურ ტიტულზე მონადირე ფედერერმა (შარშანწინდლიდან მოყოლებული) ზედიზედ 25-ე საბალახსაფრო მატჩში იხეირა და წლეულს ნაგემი სამი მარცხის წილ 47-ე გამარჯვებაც ჩაიიმასქნა. ნამატჩევს ისიც — ჰიუიტისა არ იყოს — კმაყოფილობდა და ჯერ რომ სოდერლინგს აქებდა, მერე არც თავის თავს აძაგებდა, აქაოდა ცუდად არც მე გავრჯილვარო. ჯამში კი საუიმბლდონო მზადებისთვის ბალახზე გამართული ყოველი მატჩის მნიშვნელობას აღნიშნავდა და ამაში ვინძლო მთელი საჩოგბურთო ჯალაბი ეთანხმებოდეს.

DFS CLASSIC
ბირმინგემი. ბალახი.
საპრიზო 200 ათასი $

მეორე წრე

მარია შარაპოვა (1, რუსეთი) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 6:3 6:0; ელენა იანკოვიჩი (სდმ) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:1 7:5; ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) — ევგენია ლინეცკაია (12, რუსეთი) 4:6 6:4 6:4

წლის სეფუბალახობისთვის ბირმინგემში იწრთობა იქაურობისა და უიმბლდონის შარშანდელი მაოხარი მარია შარაპოვა, ვინაც პირველ სეტში იოლად გაისეირნა ლუქსემბურგელ კრემერთან და (შარშანდლიდან მოყოლებული) თავისი ზედიზედ 13 საბალახსაფრო გამარჯვება მოიპოვა. დღის მთავარი მოულოდნელობა კი განუთესავ ანა ჩაკვეტაძის მიერ მე-12 ნომრად განთესილ თანაქვეყნელ ევგენია ლინეცკაიას ოტება იქცა.

შეგახსენებთ, რომ ჩაკვეტაძე ამ ბოლო დროს რიგიანად ბურთაობს და ბირმინგემამდე როლანგაროსობის მესამე წრესა და სტამბულობის მეოთხედფინალსაც უწია.

ბჭობენ და ბჭობენ, ყინული კი არ ლღვება

კაცმა არ იცის, ნჰლ-ში რა ხდება. ჩრდილო ამერიკიდან ურთიერთგამომრიცხავი ამბები მოდის და, ბუნებრივია, ვარაუდებიც ამგვარია. ალბათ, უკვე არაერთმა ჰოკეის ქომაგმა დაკარგა ძილი. „სარბიელი“ უკვე წერდა, რომ ისეთმა გავლენიანმა პირებმა, როგორიც ნიუ იორკის ყოფილი მერი რუდი ჯულიანი და კანადელი დიპლომატი მორის სტრონგია, მხარეებს ჩიხიდან გამოსვლის თავიანთი მეთოდი შესთავაზეს. მათი აზრით, ის, რომ ლიგისა და პროფკავშირის ლიდერები ამდენ ხანს ვერ პოულობენ საერთო ენას, ნათლად ადასტურებდა ნჰლ-ის სიკვდილის ფაქტს. და ახლა ალტერნატიული ლიგის შექმნაზე უნდა იზრუნონ. ისინი ფიქრობენ, რომ უნდა შეიქმნას ახალი ორგანიზაცია, რომელშიც 8-12 გუნდი გაერთიანდება და ასეთ პროექტში ჯულიანი, არც მეტი, არც ნაკლები, 5 მილიარდ დოლარის ჩადებას აპირებს. ცეცხლს ნავთი პროფკავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ტედ სასკინმაც დაასხა, რომელმაც განაცხადა, რომ ასოციაცია რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს განიხილავს, ვინაიდან ლიგასთან მოლაპარაკებაში გამოსავალი არ ჩანს.

ეს ყველაფერი წინა კვირის დასაწყისში მოხდა და იმედი მას შემდეგ უფრო წარგვეკვეთა, როცა ოთხშაბათს ამერიკის მთავარმა სპორტულმა არხმა ESPN-მა უარი თქვა ნჰლ-თან კონტრაქტის გაგრძელებაზე.

მოგეხსენებათ, ESPN-ს ორწლიანი შეთანხმება ჰქონდა ლიგასთან, რომლის მიხედვითაც ის ყოველწლიურად 60 მილიონ დოლარს უხდიდა ნჰლ-ს. შარშან ლიგამ ეს თანხა მიიღო, მაგრამ სეზონი არ ჩატარდა. ჰოდა, ტელემაგნატებმა სამართლიანად გადაწყვიტეს, რომ ნჰლ-თან ურთიერთობის გაგრძელებას ამ ეტაპზე აზრი არა აქვს და უარი განაცხადეს მეორე 60-მილიონიანი „საჩუქრის“ მირთმევაზე. ცხადია, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რას ნიშნავს ნჰლ-ის დარი ბიზნესისთვის მძლავრი ტელეკომპანიის მხარდაჭერის გარეშე დარჩენა. ერთი სიტყვით, ოთხშაბათს არაერთმა ჰოკეის მოყვარულმა დაიტირა გულის სიღრმეში საყვარელი ლიგა და მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

და უცბად...

ვინ იცის, რამ განაპირობა ყველაფერი ის, რაც ამის შემდეგ მოხდა. რუდი ჯულიანის მუქარამ გაჭრა თუ ჰოკეის ჩინოსნებმა მართლა შეიგნეს, რომ ყოყმანის და გაჭიანურების დრო აღარ დარჩა, არავინ უწყის. ფაქტი ის არის, რომ ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს ლიგამ და პროფკავშირმა ისეთი ინტენსიური მოლაპარაკება გამართეს, რომ საბოლოო ჯამში „მრგვალ მაგიდასთან“ 34 საათი გაატარეს და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხმად პირველად დაადასტურეს, რომ საქმეში აშკარა პროგრესი შეიმჩნევა.

ტედ სასკინი:

„ჩვენ ახალი შეთანხმების რამდენიმე ვარიანტი განვიხილეთ და მოლაპარაკებაში გარკვეული პროგრესი დაფიქსირდა“.

ნჰლ-ის ვიცე-პრეზიდენტი ბილ დეილი:

„ნამდვილად, ჩვენ საკმაო პროგრესს მივაღწიეთ, თუმც ჯერ კიდევ უამრავი საკითხის გადაწყვეტა გვმართებს“.

როგორც ხედავთ, ორივე მოხელემ თავი აარიდა იმაზე კონკრეტულად ლაპარაკს, თუ რაში მიაღწიეს მხარეებმა პროგრესს, მაგრამ ავტორიტეტული სპორტული საგენტო TSN-ის ცნობილმა მიმომხილველმა ბობ მაკენზიმ სანდო წყაროებზე დაყრდნობით მოლაპარაკების გარკვეული დეტალები გამოაშკარავა. მისი თქმით, პროფკავშირი საბოლოოდ დათანხმდა იმ ავადხსენებულ ხელფასების ზღვარზე, რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მთავარი დაბრკოლება გახლდათ. ახლა საუბარი იმაზეა, თუ როგორი იქნება ამ ზღვრის ზედა და ქვედა დონე. ჯერჯერობით საუბარი შესაბამისად 37-39 (ზედა) და 24 (ქვედა) მილიონზეა. ახალი პროექტის თანახმად, ყველაზე მეტად ახალბედები დაზარალდებიან, რომელთათვის მაქსიმალური ხელფასი მხოლოდ და მხოლოდ 500 ათასს შეადგენს.

ისიც გახდა ცნობილი, რომ შესაძლოა, ივნისში ახალბედების დრაფტიც კი ჩატარდეს, რომელიც ლიგამ თითქოს უკვე გააუქმა. თურმე ორი დღის განმავლობაში ნიჭიერმა ჭაბუკებმა ტესტირება გაიარეს ნჰლ-ის კლუბებში. მაგალითად, სიდნი კროსბი, რომელსაც გრეცკის მემკვიდრედ მიიჩნევენ, 21 კლუბში გამოცადეს!

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ რა უნდა ვთქვათ, როცა ოვითონ ჰოკეისტებიც დაბნეულები არიან. მაგალითად, „ბუფალოს“ კაპიტანმა მაიკ პეკამ პირნათლად განაცხადა, რომ აბსოლუტურად არ ესმის, რა ხდება.

„ერთი ვიცი მხოლოდ, რომ არც ლიგის დაშლის შესახებ არსებულ ჭორებს უნდა აყვე და არც მნიშვნელოვანი პროგრესის გჯეროდეს რამე. ჩვენ ეს ყველაფერი უკვე გავიარეთ თებერვალში, როდესაც ხან ერთს გვეუბნებოდნენ, ხან მეორეს და ჩვენც შესაბამისად ხან დეპრესიაში ვვარდებოდით, ხან უზომოდ გვიხაროდა. ახლა ყველამ უნდა მოვთოკოთ ემოციები. პირადად მე მხოდ მაშინ დავიჯერებ რაღაცას, როცა ოფიციალურ დოკუმენტს წავიკითხავ. მანამდე კი მთავარია, ცივი გონება შევინარჩუნო. თუმც იმასაც არ დავშალავ, რომ ბოლო დღეებში უფრო ინტენსიურად ვვარჯიშობ“ — აი, ასეთი გახლდათ პეკას კომენტარი.

„ნიუ ჯერსის“ ფორვარდმა სერგეი ბრილინმა „სპორტ-ექსპრესეისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გაცილებით ოპტიმისტური პროგნოზი გამოთქვა. მისი აზრით, ლოკაუტი აშკარად დასასრულს უახლოვდება და ამის დასტური დიდი ინტენსივობით გამართული მოლაპარაკებებია. „ვვფიქრობ, რომ ივნისი გადამწყვეტი იქნება. ინტუიცია მკარნახობს, თვის ბოლომდე ლოკაუტი დასრულდება და ახალბედების დრაფტიც აუცილებლად ჩატარდება. ამის საფუძველს მოლაპარაკებების ინტენსივობა მაძლევს“ — თქვა სტენლის თასის სამგზის მფლობელმა.

ასეთი ამბები მოდის ამერიკიდან. დანამდვილებით კი მხოლდ იმის თქმა შეიძლება, რომ მომდევნო კვირას მოლაპარაკების მორიგი რაუნდი გაიმართება.

სამველ ღარიბიანი

ქალი კაცთა ჟურნალებში

ამერიკელი მოცურავე ამანდა ბერდი ოკეანესგაღმელთა ინტერნეტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქალია. მისი გვარი სხვებზე უფრო ხშირად გვხვდება ამერიკისა და კანადის სერვერებზე.

ამანდას ფანტასტიკური პოპულარობის საწინდარი გახდა შარშან ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მშვენიერი გამოსვლა. ამანდამ ათენში ერთი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამის შედეგად ამანდა მოხვდა მამაკაცების ცნობილ ჟურნალ SPORTS ILLUSTRATED-ში.

ჟურნალის მკითხველები განსაკუთრებით აღნიშნავენ ამ მოცურავის აღნაგობას. ხშირად მოცურავე ქალები მხრებგანიერები არიან, რაც მათ მამაკაცებს ამსგავსებთ, ამანდა ბერდს კი ამ მხრივ ყველაფერი რიგზე აქვს — მისი ფიგურა პრაქტიკულად ქალთა სხეულის ეტალონს წარმოადგენს.

ამანდა ბერდის სხეულის მშვენიერება უფრო ადრე შენიშნა არანაკლებ ცნობილმა მამაკაცთა ჟურნალმა MAXIM. იმ ჟურნალში მისი ფოტოები მას მერე მოხვდა, როცა ამანდამ ჯერ ატლანტის, მერე კი სიდნეის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლები მოიპოვა.

ავთანდილ ბუკვიშელი

ფრანცისკა და მეპურე

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონ-რეკორდსმენის, გერმანელი ფრანცისკა ვან ალმსიკის რამდენიმე თვისწინათ დაწყებულ მარტოობას ეტყობა ბოლო მოეღო. ამ დღეებში ფრანცისკა ეწვია „გერმანიის პურისმცხობელთა მეფეს", მილიონერ ჰაინერ კამპს და დაბადების დღე მიულოცა. ოლონდაც, ფრანცისკა მეპურესთან მარტო სულაც არ მისულა. მისი ხელი ეკავა სოლიდურ მამაკაცს, რომელიც მოცურავეზე გაცილებით უფროსად გამოიყურებოდა. ეს ბიძა აღმოჩნდა ბატონი იურგენ გარდერი, რომელიც გახლავთ სპორტული ანტერპრენერი და მრავალი სპორტული თუ სპორტის სიახლოვესთან თანამდგომი სანახაობის მომწყობი გერმანიაში.

ფრანცისკას სხვადასხვა დროს რაღას არ აბრალებდნენ. ამბობდნენ, სპორტიან სასმელებს ეძალებაო, ეს არის და ისარისო, მაგრამ არასოდეს უთქვამთ „ფულის ტომრებზე" ნადირობსო. ფრანცისკას ქმარი წინათ იყო გერმანიის ხელბურთელია ნაკრების წევრი შტეფან კრეტჩმარი — პანკი და თავიდანფეხებამდე ტატუირებული. შტეფანი და ფრანცისკა ერთად ძალზე ექსტრავაგანტურ წყვილად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ფრანცისკა კრეტჩმარს საშობაოდ დაშორდა, ახლა კი მას ძალზე რესპექტაბელურ მამაკაცთან ხედავენ, რომელიც ფრანცისკაზე თვრამეტი წლით უფროსია. თავად ალმსიკი ჯერ ოცდაშვიდისაა.

კრეტჩმანი წარმატებული ბიზნესმენია, რომელიც მკაცრ კოსტუმებს ამკობინებს, ხოლო დასვენების საუკეთესო საშუალებად გოლფის თამაში მიაჩნია.

გერმანული „ბილდი" ჰერ გარდერს დაუკავშირდა. მან არ უარყო ფროილაინ ვან ალმსიკთან ნაცნობობა, რაც სულელური იქნებოდა. თუმცა, მოცურავესთან სიახლოვე არ დაუზუსტა.

„ეს ჩემი პირადი ცხოვრებაა და სულაც არ ვაპირებ ამის ფარითოდ გამომზეურებას" — თქვა გარდერმა.

ჩემპიონის დეტექტიური ისტორია

სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვერა შიმანსკაია ირწმუნება, რომ ესპანეთის კაზინოში არ ვთაღლითობდიო.

ამ გოგოს ცილი დასწამეს. ისიც ადგა და რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებმაც იჩქარეს და უცხოური გაზეთებიდან გადმობეჭდეს მასალები, სასამართლოში უჩივლა.



შეგახსენებთ ამ საქმის წინა ისტორიას. 2003 წელს ვერა შიმანსკაია და მისი ქმარი თუ მეგობარი, ვლადისლავ ლვოვი დიდი ხნის განმავლობაში ეჭვმიტანილნი იყვნენ სხვადასხვა კაზინოებში მონიშნული ბანქოებით თამაშში.

სპორტსმენის თაღლითობაში თავდაპირველად ეჭვი შეიტანეს ესპანეთის კურორტ მარბელას ერთ-ერთი კაზინოს თანამშრომლებმა. ესპანური პრესის ცნობით, შიმანსკაიამ და მისმა ქმარმა იყნოსეს თუ არა საშიშროება, უმალ ვალენსიისგან 25 კმ-ის მოშორებით, პატარა ქალაქ პუსოლში გადაბარგდნენ, სადაც სახელგანთქმული სათამაშო დაწესებულება „მონტე-პიკაიოა". თუმცა, ამჯერად სპორტსმენს სათამაშო აზარტმა და გამარჯვებისკენ სწრაფვის უნარმა უღალატა. მერე აღმოჩნდა, რომ კურორტ მარბელას კაზინოს უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა პოლიციაში ორივე ეჭვმიტანილის აღწერილობები გადააგზავნეს. ცოლ-ქმრის თამაშზე პროფესიონალებმა დაიწყეს თვალთვალი. ფარული კამერით რამდენიმესაათიანი გადაღების შემდეგ პოლიციას მამხილებელი კადრები გაუჩნდა. შემდეგ ცოლ-ქმარი „მონტე-პიკაიოას" კაზინოში დაიკავეს.

მანამ მოვლენების განვითარებას გავაგრძელებდეთ, გავიხსენოთ, რომ ვერა შიმანსკაიამ მხატვრულ ტანვარჯიშში მეცადინეობა 1985 წელს დაიწყო. ნიჭიერმა გოგონამ მალე მიიპყრო სახელგანთქმული მწვრთნელის ირინა ვინერის ყურადღება. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვების მერე შიმანსკაიამ ნაკრებიდან წასვლის თაობაზე განაცხადა, მაგრამ წლეულს იგი კვლავ დაუბრუნდა დიდ სპორტს. ამას გარდა, შიმანსკაია სათავეში ჩაუდგა საზოგადოებრივ ორგანიზაციას — „ტანვარჯიშის ეროვნულ ლიგას" და მოსკოვში საკუთარი სატანვარჯიშო სკოლა გახსნა.

ახლა კი დეტექტიურ თემას დავუბრუნდეთ. შარშან აპრილში ესპანეთის ქალაქ საგუნტოს სასამართლომ ოლიმპიური ჩემპიონის საქმე დახურა. სასამართლო განხილვისას კაზინოს მცველებმა უარი თქვეს თავიანთ ჩვენებებზე, რასაც ბრალდება ეფუძნებოდა. ცოლ-ქმარს ჩამორთმეული 8000 ევროც დაუბრუნეს და თავდებისთვის გადახდილი 6000-იც.

გავიდა გარკვეული დრო, მაგრამ აზარტი არ მინავლებულა. ახლა ვერა შიმანსკაია ცდილობს ფული წაართვას რუსეთის გაზეთებს, რომლებმაც იჩქარეს და ცოლ-ქმრის დაპატიმრების თაობაზე მკითხველს უამბეს. ჯერჯერობით ამით იზარალა „კრასნაია ზვეზდამ", რიგში კი არიან „სოვეტსკი სპორტი" და „როსიისკაია გაზეტა". ვერა შიმანსკაიამ სწორედ მათ შესახებ გადაწყვიტა პრესასთან საუბარი.

რომ ვთქვათ, შიმანსკაიამ ბევრი დაინტერესაო, ეს გადაჭარბებული იქნება. მასთან შესახვედრად მივიდა ექვსი ჟურნალისტი, რომელთაგან ერთი სწორედ „კრასნაია ზვეზდას" წარმომადგენელი იყო. როცა იგი დარბაზში შევიდა, ტანმოვარჯიშემ თბილად გაუღიმა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ სპორტსმენის ადვოკატმა ჟურნალისტებს დაუწყო ნატაციების კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იცხოვრონ. ისიც ასწავლა, თუ რაზე და როგორ უნდა წერონ.

„რია ნოვოსტის" დარბაზში პატარა სკანდალის შემდეგ შიმანსკაია ესპანეთის მოვლენებს დაუბრუნდა. შიმანსკაიამ ამ შეხვედრაზე თქვა, რომ პუბლიკაციებმა იმის თაობაზე, თითქოს მე კანონი დავარღვიე, ძალიან მავნო, რადგან ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ნაკრებიდან გამრიცხესო. ისიც აღნიშნა, რომ სოფრთხის წინაშე დადგა ჩემი ბავშვთა სკოლაო. ბოლოს მაინც აღიარა, რომ კაზინოში სულ რაღაც 2000 მოიგო (ალბათ ევრო) და ჩათვალა, რომ ესპანელებმა მას თანხა დაცანცქლეს, ის კი ველარ გაუგია, ასეთი მცირე თანხის გამო კაზინოს მეპატრონეებმა რატომ ააგორეს სკანდალი.

კითხვაზე, თუ რითი ხელმძღვანელობდნენ ესპანელები მისი იმიჯის საზიანოდ, შიმანსკაიამ თავდაპირველად პასუხის გაცემა არ ისურვა, მაგრამ შემდეგ მაინც ამოღერღა: „ რატომ? უბრალოდ, ჩვენ რუსები ვართ. რუსეთში ჩვენიანებს ჩვენ თვითონვე ვეპყრობით ცუდად."

დათვმა ველომრბოლი შეჭამა

კანადის ერთ-ერთი უძლიერესი ველომრბოლი ქალი იზაბელ დიუბე დათვის თავდასხმის მსხვერპლი გახდა. დათვი, რომელმაც სპორტსმენი სასიკვდილოდ დაგლიჯა, მეტყველემ მოკლა.

ეს კანადელი 36 წლის დაოჯახებული და ორი შვილის დედა იყო. იმ დილით კალგარიდან 90 კილომეტრით დაშორებულ კენმორის ტყეში თავის ორ მეგობარ ქალთან ერთად ტყეში დარბოდა, როცა დათვი თავს დაესხა. იზაბელის მეგობრები მაშველის დასაძახებლად გაიქცნენ, თავად სპორტსმენი კი ხეზე აცოცდა, მაგრამ დათვმა შეძლო მისი იქიდან ჩამოთრევა და მიწაზე დანარცხება. დათვმა ქალი დატორა და ბრჭყალებით დაგლიჯა. ამასობაში მეტყეველეც გამოჩნდა, რომელმაც თოფით განგმირა დათვი.

დადგინდა, რომ მოკლული დათვი სწორედ ის ნადირი იყო, რომელიც ცოტა ხნის წინათ დააძინეს და ტყის სიღრმეში გადაიყვანეს, რადგან იგი საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს დაძრწოდა. დათვი აგრესიული სულაც არ ჩანდა, მაგრამ ათი წუთის განმავლობაში გატრუნული თვალ-ყურს ადევნებდა ქალს, რომელიც ფოტოსურათების გადაღებით იყო გართული. მაშინ დათვს დანომრილი ყელსაბამი შეაბეს და დასახლებული პუნქტიდან 12 კილომეტრის მოშორებით გადაიყვანეს.

ამ ადგილებში მსგავსი ტრაგიკული შემთხვევა ბოლოს 1998 წელს მომხდარა.



AFP კანიდან

პრესკონფერენცია

ეს ჩაფიქრებული კაცი ცურვაში ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რუსი ალექსანდრ პოპოვია. თავის პრეს კონფერენციაზე ფილოსოფოსივით კი გარინდვია მზერა, მაგრამ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ცოტათი ეგებ კიდეც იყოს ფილოსოფოსი.

ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲝ ᲫᲛᲝ

დიეგო გახდა და გასულიერდა.
ევროპამოვლილი, ახლა უკვე ბუენოს აირესშია,
სადაც წუხელ არგენტინა ბრაზილიას
მასპინძლობდა შესარჩევ მატჩში. მარადონას თავის
მემკვიდრედ რონალდინიო მიაჩნია, ჰოდა ჩახუტებია.



AFP ბუენოს აირესიდან

ᲣᲭᲥᲘᲢᲘᲜᲔᲑᲔᲚ

ეს გოგოები ლონდონის „სტელა არტუას“ ტურნირზე მუშაობენ ბურთის მიმტანებად. კედელში ღრიჭო უპოვნიათ და უცქერენ როგორ გადის კორტზე ლეიტონ ჰიუიტი.

AFP ლონდონიდან

ᲚᲝᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ

ბრიტანეთის და ირლანდიის ლომები სამხრეთში
მოგზაურობენ: ახლა ნიუ ზელანდიაში არიან, სადაც ტარანაკის
უნდა ებურთავთან. თავად ტურნე II-მატჩიანია,
ეს მატჩი კი მეორეა. ლომთა კაპიტან ბრაიან დრისვოლი
ავტოგრაფს ჩუქნის 10 თვის ოლბლოუქნის გულშემატკივარს.

AFP ნიუ ზელანდიიდან



AFP კაშინგტონიდან

ᲡᲐᲓ ᲛᲝᲡᲣᲚᲐ

მაიკ ტაისონი უნივერსიტეტში მისულა. ცოტათი საკვირველია, მაგრამ საქმეში ისევ კრივია გარეული. ვაშინგტონში, ჰოვარდის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში საჩვენებელი ვარჯიში გაუმართავს. ამ შაბათს ტაისონი კევინ მაკბრაიდს უნდა ეკრივოს.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ
28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ,
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ,
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ,
�პᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ

�გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალაბერიძე
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გიო ახვლედიანი, გიორგი დარვანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი ჰერტაია
ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲠᲗᲝᲠᲘᲝᲠᲔᲑᲘ: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ჯოილაძე
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲖᲐᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲞᲝᲠᲪᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ – 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ
sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
http://www.sarbieli.com.ge